საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
5/4 W 10561

რა არის „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება?"
იხ. მე-2 გვ.

საქართველოს მეზღვაურთა და მეზადურთა მიმართვა უზენაეს საბჭოს
იხ. მე-2 გვ.

SOS!!!
ახალგაზრდული ცენტრი თუ კოოპერატიული ბინა
იხ. მე-3 გვ.

ახალი დოკუმენტური მასალები ჰუჯაბზე —წერილი მეორე
იხ. მე-3 გვ.

ორი კვირით... მაფიის წინააღმდეგ ქართველი მილიციელები ამერიკაში
იხ. მე-5 გვ.

1 დეკემბერი შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღე

იხ. მე-4 გვ.


# ახალგაზრდა ივერიელი

შაბათი
1
დეკემბერი
№ 188-84 (11619-20)
1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
ფასი 6 კაპ.




[illegible]

ძვირფასო თანამემამულენო!

გილოცავთ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე მოპოვებულ დიდმნიშვნელოვან გამარჯვებას, ქართველი ხალხის ნების გამომხატველი მრავალპარტიული პარლამენტის არჩევას და ჭეშმარიტი ეროვნული ძალების მოსვლას საქართველოს ხელისუფლებაში.

დღეს, ისე როგორც არასდროს, უნდა გვახსოვდეს, რომ მოპოვებულ გამარჯვებას შენარჩუნება, ხოლო ჩვენგან არჩეულ პარლამენტსა და მთავრობას თანადგომა, ერთსულოვანი მხარდაჭერა ესაჭიროება!

ჩვენი უსისხლო ბრძოლა კვლავ გრძელდება!

ყოველი ჩვენგანი კვლავ სამშობლოს ჯარისკაცია!

ისევ რწმენით, ერთმანეთის სიყვარულით და პატივისცემით გავერთიანდეთ!

ვემოხვიოთ ღვთისმშობლის კალთას, მოვინანიოთ ცოდვები და განვწმენდილნი, ცხონდეთ ამოვუდგეთ ერთმანეთს მხარში!

ჩვენმა უსისხლო რევოლუციამ კვლავ უნდა იმძლავროს!

დღეს ნათელი გახდა, ვინ ვისთან ყოფილა და ვინ და რატომ ამღვრევს წყალს! მაინც თავს ვიკავებთ და არ ვაცხადებთ მათ ერის მოღალატეებად, თუმც კი ქართველ ხალხს აქვს ამის უფლება. კვლავ შემწყნარებლებად ვრჩებით, რადგან მართლაც ძვირფასია ყოველი ქართველის სიცოცხლე და კეთილდღეობა საქართველოსთვის! მაგრამ იმასაც აღვნიშნავთ, რომ ერის მოთმინების ფიალა პირამდეა ავსებული.

ყველამ გაიგოს, რომ ვაიპატრიოტი შეგნებულად მტერზე უარესად მივაჩნია!

დღეს კი საქმისკენ, ქმედებისკენ, თანადგომისკენ, მშვიდობიანი ცხოვრების დამკვიდრებისკენ მოვუწოდებთ ყველას!

აუცილებელია ალმასკომებში, სამართველობებში, სამსახურებში შეიქმნას მშვიდობის დამცველი შტაბები და რაზმები: მათში გავერთიანდეთ ნებაყოფლობით, დავაწესოთ მორიგეობა ქუჩებში, უბნებში, თავშეყრის ადგილებში!

საქართველო მომსწრეა არა ერთი დიდი ხნის წინასწარ დაგეგმილი, სისხლიანი პროვოკაციების ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა რეგიონში.

ბარბაროსულად დახოცილ მამულიშვილთა წმინდა სისხლი უმოქმედობის უფლებას არ გვიტოვებს!

# დავუდგეთ დარაჯად სამშობლოს მშვიდობას

ყველა ერთად უნდა დავირაზმოთ, რათა ჩვენს სამშობლოს ახალი პროვოკაცია ავაცილოთ! ყველა ერთად წინ უნდა აღვუდგეთ საბოტაჟებს, მკვლელობებს, დამტაცებლებს, სურსათის, ისედაც მცირე მარაგის განადგურებას, დაწესებულებების, საავადმყოფოების რბევას, მილიციასა და საქართველოს ტერიტორიაზე მდგარი საბჭოთა არმიის ნაწილებზე თავდასხმებს, მათი ოჯახების შევიწროვებას, რამაც შეიძლება დიდი უბედურება დაატეხოს საქართველოს; ყოვლად უსაფუძვლო ჭორებს, რომელსაც ჩვენი ავისმოსურნეები ავრცელებენ ახლადარჩეული პარლამენტისა და მთავრობის წარმომადგენლებზე...

უნდა გავიაზროთ, ვის წისქვილზე ესხმება წყალი ყოველი ასეთი უგუნური საქციელით.

არავის აქვს უფლება პირად ამბიციებსა და ვითომცდა „ვაჟკაცურ" შემართებას, რომელიც მხოლოდ იარაღთან დაძმობილებაში გამოიხატება, ერის ინტერესები ანაცვალოს! შევეშვათ საქართველოს მტრებთან ალიანსებს, მათი შეიარაღებული დაჯგუფებებისათვის ხელშეწყობას და დაკანონებას ჩვენს მიწაზე!

დავამკვიდროთ ნამდვილი სახალხო კონტროლი ყველა უბანზე. შევქმნათ ჭეშმარიტი დემოკრატიის საფუძველი და აღმოვფხვრათ დემოკრატობანას თამაში, რომელიც ზოგიერთმა თავაშვებულობასთან გააიგივა!

ჩვენ, ქართველი ჟურნალისტები, ვთხოვთ ყველა ორგანიზაციის, პარტიის, დაწესებულების, სამსახურის წარმომადგენლებს, ნუ დავკარგავთ დროს, რომელსაც ჩვენი მტრები ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენებენ.

ველით გამოხმაურებას.

დაე, კვლავ ეზეიმოს მშვიდობას და თავისუფლებას ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოში!

**ქართველ დემოკრატ ჟურნალისტთა ერთობა „ხაფიხვნი".**

ჩვენი მისამართია: თბილისი, მ. კოსტავას 14. მე-5 სართული, „ხაფიხვნის" შტაბი. (გამომცემლობის ბიბლიოთეკა).

# ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ მუნიციპალური არჩევნების ჩატარებამდე, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხთა ადგილებზე დემოკრატიულად და საჯაროდ გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან შეიქმნას კომისიები რეგიონებში არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატების მონაწილეობით.

კომისიებს ქმნიან და მათ შემადგენლობას არჩევენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები.

კომისიებმა ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად უნდა განახორციელონ ღონისძიებანი მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, სახალხო და სახელმწიფო ქონების განიავება-დატაცების აღსაკვეთად.

მუნიციპალური არჩევნების ჩატარებამდე და მიწის შესახებ ახალი კანონის მიღებამდე შეწყდეს სახელმწიფო კოოპერაციული ქონების ყიდვა-გაყიდვა და მოსახლეობისა და ორგანიზაციებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა.

ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს ვევალებათ შეუქმნათ კომისიებს მუშაობის სათანადო პირობები, გამოუყოთ სამუშაო ოთახები, უზრუნველყოთ ტრანსპორტით, კავშირგაბმულობის საშუალებებით და სხვა.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია**

**საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თ. სიგუა**

# ღია წერილი სსრკ პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს

ბატონო პრეზიდენტო!

ჩვენ მოვისმინეთ თქვენი სიტყვა სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაზე ამა წლის 17 ნოემბერს. ჩვენ არ ვეხებით თქვენი გამოსვლის ყოველ პუნქტსა თუ დეტალს, არამედ შევჩერდებით იმაზე, რაც ჩვენი აზრით, ეხება განახლებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რესპუბლიკებს და კერძოდ, საქართველოს.

თქვენ აღნიშნავთ, რომ არ გეშინიათ სუვერენიტეტისთვის ახლადგამოჩეკილი მებრძოლებისა, რომლებიც გაიძახიან, რომ ხალხმა გამოხატა თავისი ნება... და ამტკიცებთ, რომ ხალხს ჯერ უნდა შეეკითხო.

ამასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ხალხმა, მის წინაშე დასმულ კითხვას ღირსეულად გასცა პასუხი, რაც გამოიხატა სსრკ-ს ისტორიაში პირველად ჩატარებულ მრავალპარტიულ დემოკრატიულ არჩევნებში. ხალხმა აირჩია ის, ვისაც ენდობა და ამით გამოხატა თავისი ურყევი ნება. აქვე გვინდა, აღვნიშნოთ, რომ ამ არჩევნებში აქტიურად მონაწილეობდა არაქართველი მოსახლეობაც. რაც შეეხება „ახლადგამოჩეკილ მებრძოლებს სუვერენიტეტისათვის", რომელშიც ჩვენ უპირობოდ შევიცანით ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი აკაკი ასათიანი, გარწმუნებთ, რომ ქართველი ხალხი „ახლადგამოჩეკილებს" არ ანდობს თავის ბედს. მას ამისთვის სახელმწიფოებრივი ცხოვრების სულ მცირე 23-საუკუნოვანი გამოცდილება გააჩნია.

თქვენ აღნიშნავთ, რომ უკვე იღებთ ინფორმაციას საქართველოდან მღელვარებათა შესახებ, რომელსაც მოუცავს რესპუბლიკა იმ კავშირების გაწყვეტის გამო, რომლისკენაც აუწლეულობით ისწრაფვოდა ხალხი.

გარწმუნებთ, რომ თქვენ მიგიღიათ ყალბი ინფორმაცია არასანდო არხებით. საქართველოში არავითარ მღელვარებას ადგილი არ ჰქონია, რადგან იგი თანასწორუფლებიანი კავშირების გაწყვეტას არცერთ ქვეყანასთან არ აპირებს, პირიქით ესწრაფვის მათ აღდგენა-განახლებას, რომლებიც მას დიდი ხანია დაკარგული ჰქონდა.

რაც შეეხება ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, რომელიც თქვენის თქმით უკვე მზად არის, იბადება რამოდენიმე შეკითხვა: 1. როგორ შეიძლება დაიდოს ახალი ხელშეკრულება თუ არ არის გაუქმებული იგივე შინაარსის ძველი ხელშეკრულება? მით უმეტეს, რომ პირველი ხელშეკრულების შესახებ ქართველი ხალხის აზრით არავინ დაინტერესებულა. იგი დაიდო მისი ნების გაუთვალისწინებლად, ამდენად იგი არაუფლებამოსილია და ატარებს ძალმომრეობით ხასიათს. 2. როგორ შეიძლება დაიდოს სამოკავშირეო ხელშეკრულება ორ არათანასწორუფლებიან ქვეყანას შორის (საქართველო ოკუპირებული, ხოლო შემდგომ ანექსირებულია საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლიდან)? 3. როგორ, როდის და ვის მიერ მომზადდა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება, როდესაც თქვენ აცხადებთ, რომ იგი უკვე მზადაა?, ამავე დროს კი საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ბატონი გივი გუმბარიძე საქართველოს რესპუბლიკის ახალი პარლამენტის პირველ სესიაზე (1990 წ. 15 ნოემბერს) აცხადებს, რომ არც მას, არც საქართველოს ყოფილი მთავრობის რომელსამე წევრს ამ ხელშეკრულების შემუშავებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. გამოდის, რომ ისევ რესპუბლიკების ზურგს უკან წყდება მათი ბედი. 4. თუ ხელშეკრულება ნებაყოფლობითია, როგორც თქვენვე განგიცხადებიათ არაერთგზის, რას ნიშნავს თქვენი ძალისხმევა, რათა უნდა დაჯდეს, აიძულოთ რესპუბლიკები (კერძოდ, საქართველო) ხელი მოაწეროს აღნიშნულ ხელშეკრულებას?

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენი დაწესებულების მრავალეროვანი კოლექტივი ცალსახად მხარს უჭერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის პოზიციას ნებისმიერი სახელმწიფო დონის ხელშეკრულების დადების შეუძლებლობაზე საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე.

**ქ. თბილისის პროფ. ნ. ს. ყახიანის სახელობის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომლები.**

წერილის ტექსტი წაკითხული და მოწონებულია თბილისის პროფ. ნ. ს. ყახიანის სახელობის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომელთა საერთო კრებაზე 1990 წლის 21 ნოემბერს.

მიმართვის ტექსტი უკვე გაეგზავნა ადრესატს.



ბაადურ მჭედლიშვილის ნახატი.

# ქრონიკა, ინფორმაცია

[illegible] ...ბის ფუნქციონირება მოშლილია. ამ მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსასწორებლად საჭიროა ადგილებზე შეიქმნას საპარლამენტო კომისიები, რომლებშიც შევლენ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატები და რომლებიც ხელს შეუწყობენ მდგომარეობის სტაბილიზაციას, კანონიერების განმტკიცებას და ადგილობრივი მუნიციპალური არჩევნების მომზადებას.

აღნიშნულ საკითხებზე გამართულ კამათში მონაწილეობდნენ „მრგვალი მაგიდის" რეგიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლები, უზენაესი საბჭოს წევრები. მათაც და ბატონმა ზვიად გამსახურდიამაც პასუხი გასცეს უამრავ შეკითხვას. შეკრებაზე დასმულ იქნა მრავალი საქმიანი წინადადება.

**გუშინ**, თბილისში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში გაიხსნა საქართველოს ეროვნული კონგრესის მეორე სხდომა. საკრებულო დალოცა მამა იოანემ, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს უეცრად გარდაცვლილი, ცნობილი მეცნიერის, კონგრესმენის მერაბ მამარდაშვილის ხსოვნას, რის შემდეგაც ბატონმა ირაკლი წერეთელმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. დარბაზმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ბატონი გიორგი ჭანტურია, რომელმაც კონგრესს განუცხადა, რომ სხდომა ორ დღეს გაგრძელდებოდა და იმუშავებდა შემდეგი დღის წესრიგით:

1. სეკ-ის საქმიანობის ძირითადი პრინციპების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და მუშაობის წესის შესახებ.
2. დადგენილება სეკ-ის სტრუქტურის შესახებ.
3. სეკ-ის პრეზიდიუმის არჩევნები.

კონგრესის მეორე სხდომაზე ძირითადი პოლიტიკური მოხსენებით გამოვიდა ბატონი თეიმურაზ სუმბათაშვილი, რომელმაც მიმოიხილა საქართველოში დღესდღეობით არსებული სიტუაცია, კომენტარი გაუკეთა უზენაესი საბჭოს არჩევნებს.

საქართველოს კონგრესის სხდომაზე სტუმრად ჩამოვიდნენ სომხეთის უზენაესი საბჭოს წევრი, საერთაშორისო ორგანიზაცია „დემოკრატია და თავისუფლების" პრეზიდენტი პარუირ აირიკიანი და სომხეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა ლიდერები და წევრები.

**საქართველოში** უკვე ხელმძღვანელთა სხვადასხვა პოლიტიკური ძალთა დაახლოებისა და გაერთიანების ტენდენცია. [illegible] მიეძღვნა 1990 წლის 27 ნოემბერს „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკურ ორგანიზაციათა შტაბბინის სხდომათა დარბაზში (მაჩაბლის ქ. № 11) გამართული ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის საგანგებო სხდომა. არჩეულ იქნა საორგანიზაციო ჯგუფი, რომელიც რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის წარმომადგენლებთან ერთად პარიტეტულ საწყისზე მოამზადებს საგანგებო ყრილობას.

**ცნობილია** თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას" კიროვის ხელოვნური ტყავის ქარხანა ხელშეკრულებით აწვდის მასალებს, რითაც ძირითადად ბავშვის ფეხსაცმელს კერავენ. ამ დღეებში ფაბრიკის დირექციამ ქალაქ კიროვიდან მიიღო დეპეშა, სადაც მთელი კატეგორიულობითაა აღნიშნული, რომ 1991 წლიდან კიროვის ხელოვნური ტყავის ქარხანა არავითარ ხელშეკრულებას აღარ გააფორმებს ფაბრიკა „ნარიყალასთან", თუ არ დაიდება სამოკავშირეო ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და ცენტრს შორის. დეპეშას ხელს აწერს დირექტორის მოადგილე კატკოვი. და ეს დეპეშაც (რომლის მსგავსი, ალბათ, სხვა წარმოება-დაწესებულებებმაც მიიღეს ან მიიღებენ) შეიძლება ჩაითვალოს როგორც ბლოკადის მუქარა საქართველოს რესპუბლიკისადმი.

**1990 წლის** 24 ნოემბერს თბილისში შედგა ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის კონფერენცია, რომელმაც იმსჯელა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში პარტიის მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხებისა და მისი მომავალი საქმიანობის შესახებ, კონფერენციაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელსაც შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

**კიევში** აღსდგა უკრაინის გასაბჭოებამდე არსებული პატრიოტული ორგანიზაცია „უკრაინელ ქალთა კავშირი", რომლის მიზანია გააერთიანოს უკრაინასა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები უკრაინელი ქალები, ვისაც შენარჩუნებული აქვს ეროვნული თვითშეგნება და ისტორიული სამშობლოსადმი სიყვარული.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული თანხმობის კომიტეტსა და „უკრაინელ ქალთა კავშირს" შორის არსებული შეთანხმების საფუძველზე „უკრაინელ ქალთა კავშირი" მოუწოდებს საქართველოში მცხოვრებ თანამემამულე ქალებს, ვისაც სურვილი აქვს, შევიდეს „უკრაინელ ქალთა კავშირის" საქართველოს განყოფილების საორგანიზაციო ჯგუფში, მიმართონ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ეროვნული თანხმობის კომიტეტს. ტელ: 96-54-96; მისამართი: თბილისი, 380002, კრილოვის ქ. № 4.

**საქართველოს** ოფიცერთა კორპუსის მეორე დამფუძნებელ კონფერენციაზე განიხილეს და მიიღეს ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წესდება. წესდების პროექტი მოამზადა და წარმოადგინა ოფიცერთა კორპუსის დროებითმა საბჭომ, რომელიც ერთი თვის წინათ პირველ დამფუძნებელ კონფერენციაზე აირჩიეს.

ამ დოკუმენტის თანახმად საქართველოს ოფიცერთა კორპუსი დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, რომელიც მოქმედებს საქართველოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. მან ხელი უნდა შეუწყოს მომავალ დამოუკიდებელ საქართველოში საკუთარი ეროვნული არმიის შექმნას, დაეხმაროს ამ საქმეში რესპუბლიკის ეროვნულ პარლამენტს, მიაღწიოს, რომ საქართველოში აღმოიფხვრას სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით უკონტროლო სიტუაციის წარმოქმნის შესაძლებლობა.

**დაიწყო** სასამართლო პროცესი აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ლიდერებზე ეტიბარ მამედოვსა და რაგიმ კაზიევზე, რომელთაც 13-20 იანვრის ბაქოს ტრაგიკულ მოვლენებში ედებათ ბრალი. „ლიტერატურნაია გაზეტას" კორესპონდენტს ეტიბარ მამედოვმა განუცხადა, რომ აზერბაიჯანის სახალხო ფრონტი არ იხსნის მომხდარზე პასუხისმგებლობას, მაგრამ თანაბრად უნდა აგონ პასუხი როგორც რესპუბლიკურმა, ისე საკავშირო ხელმძღვანელებმაც. ამ უკანასკნელთაგან რამდენიმეს მამედოვი დაუსწრებლად მიმართავს შეკითხვებით:

**დიმიტრი იაზოვს** (ის პირადად ხელმძღვანელობდა ბაქოს ოპერაციას): რატომ გამოუცხადეს ბაქოს მოსახლეობას საგანგებო მდგომარეობის შემოღების შესახებ მხოლოდ 20 იანვრის დილის ექვს საათზე, როცა ქალაქში ჯარი უკვე შევიდა და სისხლის გუბეებიც დააყენა მის ქუჩებში?

**ვადიმ ბაკატინს:** რატომ იდგნენ უმოქმედოდ სსრკ შინაგან საქმეთა ჯარები 13-15 იანვარს და ხელი არ შეუშალეს ძალადობასა და ძარცვას?

**ევგენი პრიმაკოვს:** რატომ არ მიიღო მან 19 იანვარს აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ლიდერები, ხოლო როცა მათ ტელევიზიით გამოსვლა მოითხოვეს, რათა მოსახლეობისათვის მიეწოდებინათ ჯარის წინააღმდეგობა არ გაეწიათ და პიკეტები მოეხსნათ, რატომ გამოირთო ტელე-რადიოკომიტეტის ენერგობლოკი და ესეც შემდეგ სახალხო ფრონტის ლიდერებს დაბრალდათ?...

# რა არის „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება"?

ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ხავსს მოჭიდებული წყალწაღებულის მსგავსად უკანასკნელ იმედად წარმოადგინა კრემლმა, თავისუფლებისათვის მებრძოლთათვის პრინციპულად მიუღებელია. — მხოლოდ ამ აზრამდე მიხვალ აღნიშნული პროექტის გაცნობის შემდეგ. მასში, გარდა ზოგადი დეკლარაციებისა და სიტყვების თავბრუდამხვევი ორომტრიალისა, სასიკეთო არაფერია. ესაა დასაშინებლად ქედმოდრეკილთათვის დასადგმი უღლის ნიმუში. მივყვეთ რიგის მიხედვით:

პირველი, პროექტის პრეამბულაში (შესავალ ნაწილში) წერია, რომ „სუვერენულმა რესპუბლიკებმა... გადაწყვიტეს ახალ საწყისებზე აგონ თავიანთი ურთიერთობა **სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში**" (ხაზგასმა ჩემია — ლ. ჭ.). პირველი კარის მეხუთე ქვეთავში კი აღნიშნულია: „რესპუბლიკები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ თავიანთ სახელმწიფოებრივ წყობილებას". საინტერესოა, თუკი ხელშეკრულება ადგენს, რომ ეს არის „საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი", მაშინ გაუგებარია, რესპუბლიკები დამოუკიდებლად როგორღა განსაზღვრავენ სახელმწიფოებრივ წყობილებას? უნებლიე შეცდომაა, თუ წინასწარგანზრახული ფანდი? რა თქმა უნდა, ასეთ საქმეში „შეცდომები" არ მოსდით ხოლმე, მით უმეტეს დოკუმენტი მომზადებული ყოფილა „რესპუბლიკების წარმომადგენლებთან კონსულტაციებისა და ფედერაციის საბჭოზე განხილვის შედეგად".

მეორე, რაში მდგომარეობს სიახლე იმ სუვერენიტეტისა, რომელსაც პროექტის ავტორები გვთავაზობენ? არსებითად ამ პროექტით, „სუვერენული რესპუბლიკები" რაიმე ხელშეკრულების მონაწილენი კი არ არიან, არამედ სხვა სუვერენული სახელმწიფოს (სსრ კავშირის) პროვინციული ნაწილები. ასეთ შემთხვევაში" რესპუბლიკების სუვერენიტეტი" არის მხოლოდ ფიქცია. იგი მახეში შესატყუებელ მატყუარას ჰგავს. სუვერენიტეტი სახელმწიფოს აუცილებელი თვისებაა, რაც ნიშნავს სახელმწიფოს უნარს, ანუ მის იურიდიულ შესაძლებლობას დამოუკიდებლად აწარმოოს თავისი საშინაო და საგარეო საქმეები და არ დაუშვას ამ საქმიანობაში უცხო სახელმწიფოების ან სახელმწიფოს შიგნით არსებულ მტრულ ძალთა ჩარევა. რომელ დამოუკიდებელ საქმიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც რესპუბლიკებს დამოუკიდებელი საზღვრები არ გააჩნიათ; არა აქვთ საკუთარი საბაჟო სტრუქტურები, საფინანსო სისტემა, ფულის ერთეული, ოქროსა და სხვა ძვირფასეულობის ფონდი, ვერ ეწევიან საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას და ა. შ. აშკარაა, რომ ეს არის იმპერიული კავშირის შენარჩუნების მიზნით, სახელმწიფოს სუვერენიტეტის ცნების შეგნებული, პირწავარდნილი გაყალბება.

მესამე, 1922 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ახალი პროექტი ხელშეკრულების მონაწილეებად მიიჩნევს ავტონომიურ რესპუბლიკებსაც. მაგრამ ეს ისე შეფარვით არის გაკეთებული, რომ ბევრმა შეიძლება არც მიანიჭოს ამას არსებითი მნიშვნელობა. კერძოდ, პირველ მუხლში აღნიშნულია: „ხელშეკრულების მონაწილე რესპუბლიკები შედიან კავშირში უშუალოდ ანდა სხვა რესპუბლიკების შემადგენლობით". აქედან გამომდინარეობს: ა) სხვა რესპუბლიკის შემადგენლობაში შეიძლება იყოს მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკა;

ბ) თუკი მოკავშირე რესპუბლიკა უარს იტყვის ხელშეკრულების დადებაზე, მაშინ ავტონომიურ რესპუბლიკას უფლება აქვს უშუალოდ შევიდეს კავშირში. როგორი წარმოსადგენია: საქართველო უარს ამბობს კავშირში შესვლაზე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები კი ხელს აწერენ საკავშირო ხელშეკრულებას. ამასვე აკეთებს „სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული სახელმწიფოც", რომელიც აგრეთვე ხდება სსრ კავშირის წევრი. ამაზე უკეთეს სუვერენიტეტს ვერ ინატრებს ვერც ერთი სახელმწიფო;

გ) ფაქტობრივად ყოველგვარი განსხვავება მოკავშირე რესპუბლიკებსა და სხვა რესპუბლიკებს შორის ისპობა;

დ) ავტონომიური რესპუბლიკები, რომლებიც ხელს აწერენ საკავშირო ხელშეკრულებას, გარდაიქმნებიან მოკავშირე რესპუბლიკებად;

ე) იმ შემთხვევაშიც კი, როცა მოკავშირე რესპუბლიკა [illegible] ხელშეკრულებას, ავტონომიურ რესპუბლიკებს უფლება აქვთ უშუალოდ მოაწერონ ხელი ამ აქტს, ე. ი. გახდნენ მოკავშირეები. მაშასადამე, ხელშეკრულების პროექტს საფუძვლად უდევს „50 რესპუბლიკის კავშირის" [illegible] კონცეფცია. ამიტომ პროექტი[illegible] აზრს კარგავს ფორმა, იმის [illegible], რომ „რესპუბლ[illegible] [illegible] ურთიერთობის [illegible]ება, რომელთაგან ერთი [illegible] მეორის შემადგენლობაში, ხოლო მათ შორის დადებული ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით". ამის მიზეზი ისაა, რომ ავტონომიური რესპუბლიკები ამ შეთანხმებების გარეშეც, როგორც კავშირის წევრები, რესპუბლიკების ტოლ უფლებებს იძენენ.

ამრიგად, პროექტის მიხედვით რესპუბლიკად ითვლება, როგორც ამჟამინდელი მოკავშირე რესპუბლიკები, ასევე ავტონომიურიც და სამხრეთ ოსეთის მსგავსად გამოჩეკილი „სახელმწიფოებიც". ამ პრინციპის შემდეგ ცხადია, აზრს კარგავს პროექტის ყველა დანარჩენი ნორმა. კერძოდ, პროექტის მე-7 მუხლის თანახმად, „რესპუბლიკები (გასაგებია. თუ რომელი!) არიან მიწის, მისი წიაღისა და თავიანთ ტერიტორიაზე არსებული სხვა ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე სახელმწიფო ქონების მესაკუთრეები"...

ანალოგიურია მე-8 მუხლიც, რომელიც ეძღვნება გადასახადებსა და მოსაკრებლებს. ამ ნორმის თანახმად, „რესპუბლიკები დამოუკიდებლად... აწარმოებენ რესპუბლიკურ გადასახადსა და მოსაკრებელს". მაშასადამე, საქართველოში უნდა იყოს ოთხი საგადასახადო სისტემა: საქართველოსი, აფხაზეთისა, აჭარის, სამხრეთ ოსეთის. ასევე იქნება დღემდე მოკავშირედ წოდებულ სხვა რესპუბლიკებშიც.

პროექტის მე-9 მუხლის შესაბამისად „რესპუბლიკურ კანონმდებლობას რესპუბლიკურ ტერიტორიაზე აქვს უზენაესობა ყველა საკითხზე". გამოდის, რომ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის კანონებს უზენაესი ძალა გააჩნიათ თავიანთ ტერიტორიაზე. მაშინ რას წარმოადგენს საქართველო? შეიძლება თუ არა მას საერთოდ ჰქონდეს სახელმწიფოებრიობის პრეტენზია? შემოთავაზებული პროექტის მიხედვით. — არა. და მის ავტორებს ეს არც აღელვებთ. ალბათ, მათ ძალიან იზიდავთ 50 შტატიანი ამერიკის მოდელი. მაგრამ საბჭოთა იმპერია ვერასდროს ვერ მიაღწევს ვერც ამერიკის და ვერ დასავლეთის ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს დონეს. იმპერია, რომელიც ხალხის დამონებაზე ფიქრში ალამ-თენებს, ვერასოდეს ვერ იქნება თავისუფალი. თავისუფლების გარეშე კი საზოგადოების კეთილდღეობა გამორიცხულია.

წარმოდგენილმა პროექტმა პრაქტიკულად უკუაგდო ის წმინდა ფორმალური უფლებაც კი, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკებს გააჩნდათ. კერძოდ, 1922 წლის ხელშეკრულებით მოკავშირე რესპუბლიკებს უფლება ჰქონდათ საბჭოთა კავშირიდან თავისუფალი გასვლისა. ეს უფლება უპირობო უფლებად იყო აღიარებული, რაც ნიშნავდა, რომ მისი განხორციელება რაიმე პირობით არ იყო სახელდებული. ჯერ იყო და 1990 წლის 3 აპრილს სსრ კავშირიდან გასვლის კანონით ეს უფლება პრაქტიკულად გაუქმდა. ახალ პროექტში კი მასზე საერთოდ არაა ლაპარაკი. ესეც არ უნდა იყოს შემთხვევითი.

იგივე ეხება მოქალაქეობის საკითხს. „სსრ კავშირში შემავალი რესპუბლიკის მოქალაქე ერთდროულად სსრ კავშირის მოქალაქეა" (მუხლი 2). ეს ნიშნავს, რომ საქართველოში შეიძლება არსებობდეს ოთხი მოქალაქეობა — აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის და თუ ადგილი დარჩა, საქართველოსი?!.

ალბათ, ჩამოთვლილი საკითხებიც საკმაოდ ნათელყოფს, თუ რა არის ეგრეთ წოდებული „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება". ოდნავ თავმოყვარე ერი, მით უმეტეს სახელმწიფოდ ორგანიზებული ერი, არ აკადრებს საკუთარ თავს, რომ ხელი მოაწეროს სამუდამო მონობის ამ ტრაქტატს. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება ამ საკითხზე ერთადერთი, სწორი და შეუვალია. მაგრამ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მისია ამით არ ამოიწურება. მან უნდა შეძლოს საქართველოში არსებულ ავტონომიათა ცდომილ მესვეურებს აჩვენოს, რომ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება შეიძლება მათთვის საუკუნო მონობის დასაწყისი გახდეს. თავისუფლებისა და მონობის გზაგასაყარზე დაფიქრებაც კი არაა საჭირო, რა თქმა უნდა, თავისუფლების სასარგებლოდ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტი არის პროვოკაცია. რა მაძლევს ასეთი დასკვნის საფუძველს? ავტონომიური ერთეულები მოინდომებენ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში მონაწილეობის მიღებას. ამას წინ აღუდგებიან მოკავშირე რესპუბლიკები. მათ შორის წარმოიშობა უთანხმოება, რომელიც მორიგი ეთნოკონფლიქტების წარმოშობასა და მათ ესკალაციას გამოიწვევს. ღმერთმა ქნას, რომ ეს ვარაუდი არ გამართლდეს. თუმცა ყველაფერი ნელნელა აქეთკენ მიდის.

ის, რომ წარმოდგენილ პროექტს საფუძვლად უდევს „50 რესპუბლიკის კავშირის" კონცეფცია, დასტურდება ენის საკითხის პროექტისეული გადაწყვეტითაც. კერძოდ, მე-19 მუხლის თანახმად, „სსრ კავშირის სახელმწიფო ენად ხელშეკრულების მონაწილენი ცნობენ რუსულ ენას". რით არის გამოწვეული რუსული ენის ასეთი უზურპაცია? როგორც წესი, ამგვარი მრავალმხრივი ხელშეკრულებების ოფიციალური ენა არის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ან მათი გარკვეული ნაწილის ენა. ასე იყო დღეს მოქმედი კანონმდებლობითაც: საკავშირო ნორმატიული აქტების გამოცემის ოფიციალურ ენად 15 მოკავშირე რესპუბლიკის ენები წარმოადგენდა. 50 რესპუბლიკის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია 50 სამუშაო ენის გამოყენება. ამიტომ „სასურველია" იყოს ერთი ენა — რუსული ენა.

ალბათ, ყველაფერი ნათელია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წარმოდგენილი პროექტის თაობაზე საქართველოს უზენაესი საბჭოს 21 ნოემბრის განცხადება უაღრესად სწორი აქტი იყო. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ვინაიდან პროექტის მიხედვით ავტონომიურ ფორმირებებს უფლება ეძლევათ, ხელი მოაწერონ ამ ხელშეკრულებას. საჭიროა, საქართველოს უზენაესმა საბჭომ დასაბუთებული განცხადებით მიმართოს მოკავშირე რესპუბლიკებს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს, რომ მათაც უარი თქვან ამ ხელშეკრულებაზე, როგორც უკიდურესი დესტაბილიზაციის გამომწვევი და სუვერენიტეტის აშკარად ხელმყოფი აქტის, ხელის მოწერაზე. მხოლოდ ერთობლივი ძალით შეიძლება მონობისა და დაქუცმაცების ახალი უღლის გადაგდება.

**ლადო ჭანტურია,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.**

# ღია წერილები რევაზ ჯაფარიძეს

### არაფერს ამბობენ მასზე, ვინც არაფერს წარმოადგენს

ბატონო რევაზ, წერილი, რომელიც ამა წლის 14 ივნისის „ახალგაზრდა ივერიელში" „მომიძღვენით", მინდა დავასათაურო ასე: „აქა მოთხრაჲ და ძაგებაჲ დეკანოზისა პავლესი". მგონია, ლამაზად ჟღერს და, რაც მთავარია, ზუსტად მიესადაგება წერილის ფორმას და შინაარსს.

პირდაპირ ვიტყვი, თქვენი წერილის ქუდი — „მკითხველის გულის გაწყალება" — ცუდად გახლავთ შეკერილი. გამიკვირდა, სათაურების დიდოსტატმა, უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრეთ. ნამეტანი გაჭირვებია-მეთქი ბატონ რევაზს, გავიფიქრე, მაგრამ მივხვდი, რომ ეს ნერვიულობისა და დაღლილობისაგან დაგემართათ: ხუმრობა ხომ არ არის — მთელი დღედაღამე თვალი არ მოგიხუჭავთ („წერილი გამზადებული მქონდაო, ბრძანებთ, როცა წავიკითხე თ. მესხის „კათოლიკოსი"). მკითხველს მინდა მოვაგონო, რომ თ. მესხის „კათოლიკოსი" გამოქვეყნდა ჩემი პუბლიკაციის მეორე დღეს.

ქალბატონ თ. მესხის „კათოლიკოსმა", ცხადია, გუნება წაგიხდინათ, „ცეცხლი გაგინელათ", მაგრამ ვერ კი გაგტეხათ, და წერილი მაინც იმ დღესვე მიიტანეთ რედაქციაში — დაგენანათ თეთრად გატარებული ღამე.

გადავხედე წერილის ფორმატს და — ბიჭოს! — გაზეთის მთელი ერთი გვერდი! გამოგიტყდებით, მესიამოვნა — ალბათ, კარგა მაგრად დამიწერია, რაკი ბატონმა რევაზმა თავი ასე შეიწუხა-მეთქი. დავიწყე კითხვა და, ვატყობ, იმედი მიცრუვდება — რის კარგად, რა მაგრად! — გინდა მე და გინდა ჰიანჭველა! თან ვფიქრობ: თუ მართლა არაფერს წარმოვადგენ, მაშინ რაღამ ააფორიაქა და წონასწორობიდან გამოიყვანა ბატონი რევაზი, რამ გაატეხინა ღამე, რისთვის კარგავს ძვირფას დროს.

ჩავათავე კითხვა და ყველაფერი ცხადი გახდა, მივხვდი, რომ ბატონი რევაზი „გულისხმის" საშინელ დეფიციტს განიცდის — ჩემი თავმდაბლობა ცუდად გაუგია.

ერთი სიტყვით, ბატონო რევაზ, მთელი წერილის მანძილზე არაფერს ამტკიცებთ, გარდა, რბილად რომ ვთქვათ, თავშეუკავებლობისა... მაგრამ ეს მკითხველმა განსაჯოს.

ზემოთ ვთქვი, უნიჭოდ დაგისათაურებიათ-მეთქი წერილი, ახლა აგიხსნით, რატომაც: დღემდე „გულისგამაწყალებლად" მიაჩნდათ გაწელილ-გაჭიანურებული ღრიტინი, ქიქინი, ბუტბუტი, ფიგურულად „სარეკელას რაკუნსაც" უწოდებენ მას. მოკლედ, „გლახა ქრიაშვილი" რომ დაგესვათ წერილის სათაურად, ორიგინალობაში წააგებდით, თორემ ერთობ შესაფერი იქნებოდა თქვენი სტილისა და ტაქტიანობისა.

აქვე გკითხავთ, რით გავუწყალე გული მკითხველს, როდის და სად ვილაპარაკე გაუთავებლად?!

არც სად და არც როდის! ამიტომ თქვენს სინდისზე იყოს ჩემი წერილის თქვენეული შეფასება — „მკითხველის გულის გაწყალება".

### „მაგრამ იტყვის: ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ჯორი".

ახლა იმის გამოც, რა მარჯვედ ახერხებთ საკუთარი ცოდვის ჩემზე გადმობრალებას. იმედია, ვერ უარყოფთ, რომ თქვენ პირველმა იხმარეთ სიტყვა „გადაპრანჭული" კათოლიკოსთან" მიმართებაში. უნდა დამეთანხმოთ, რომ გადაპრანჭული სიტყვა გადაპრანჭული ბგერებისაგან შედგება. თუკი, თქვენი გაგებით, არსებობენ გადაპრანჭული ბგერები, განა აქედან ლოგიკურად არ გამომდინარეობს, რომ არსებობენ ზვიადი, ამაყი და დიდებული, ან უბრალოდ, გადაუპრანჭავი ბგერებიც?

„პრანჭვა" და „სიამაყე" ორივე ხასიათია, ამ შემთხვევაში ბგერის ხასიათი, პრანჭვა ნიადაგ ცუდი და დასაწუნი, სიამაყე კი — არასოდეს (მეშინია, ადამიანურ ცუდმედიდობაში არ აურიოთ ბგერის სიამაყე და დიდებულება).

„ამტკიცებთ", რომ არც წაგიკითხავთ და არც გაგიგონიათ, თითქოს ბუნებაში არსებობდნენ ამაყი, ზვიადი, არისტოკრატული ბგერები და ასონიშნები. ჯერ ერთი, რევაზ ბატონო, მაგას წაკითხვა კი არა, ყური, გრძნობა — სმენა სჭირდება, რომელიც ყველასთვის როდი მიუნიჭებია მამაზეციერს. მეორე, როგორც ჩანს, მართლა არ წაგიკითხავთ ჩვენი უდიდესი მწერლის, როგორც ხშირად გითქვამთ — „თქვენი დიდი მეგობრის" კონსტანტინე გამსახურდიას „ლირიკული ინტერმეცო" („მთვარის მოტაცება"), თორემ ასეთ უხერხულობაში არ ჩაიგდებდით თავს. ნუთუ ლომის ბუხუნი და კატის ჭნავილი, რიონის ღრიალი და ნაკადულის ლიკლიკი, ყორნის ყრანტალი და ბულბულის გალობა ერთნაირ ემოციებს აღგიძრავთ?!

ისედაც, უცნაურია (მწერლისაგან განსაკუთრებით) იმის მტკიცება, რომ ერთერთი ადამიანური გრძნობა — სმენა — არ გამაჩნიაო. ნუ იტყვით, უსმენობას თვით ბეთჰოვენისთვისაც კი არ შეუშლია ხელი და მე რაში მჭირდებაო!

ალბათ, მოგისმენიათ ხალხური სიმღერა „ლილე". ერთი ეს მიბრძანეთ, „ლილეს" თავსა და ბოლოში დასმულ ფრმახიანად ამღერებულ შორისდებულ „ო"-ს (ოოო, ლილე, ოოო!) განა რომელიმე სხვა ბგერა შეცვლის? რომელ ბგერას, შეუძლია, ასე ზვიადად და დიდებულად დაიგრგვინოს, როგორც ამ „ო"-მ! თუ მოგისმენიათ და ვერ გიგრძვნიათ, ბრალი ამაში, ღმერთი-რჯული, არც მე და არც „ო"-ს არ მიგვიძღვის.

### „მართლმადიდებელი" თუ „მართლმადიდებლური"?

ორივე, რევაზ ბატონო, ორივე! მხოლოდ ეკლესიისა (ზოგადად), თუ ადამიანის ვინაობისა და რაობის განსაზღვრაში უთუოდ „მართლმადიდებელი", ხოლო მრწამსისა და სხვადასხვა საიდუმლოებათა განსაზღვრაში — „მართლმადიდებლური". მაგალითად: მართლმადიდებელი ეკლესია (ზოგადად და არა რომელიმე ტაძარი კონკრეტულად), მართლმადიდებელი ქრისტიანი; მაგრამ მართლმადიდებლური: მრწამსი, ნათლისღება, მირონცხება, ზიარება, მღვდლობა, ქორწინება, ზეთის კურთხევა.

განსვენებული მეცნიერი კ. კეკელიძე ყველგან უპირატესობას ანიჭებს „მართლმადიდებელ ეკლესიას" (კონკრეტულად ამა თუ იმ ტაძარსაც კი): საბა რომ კათოლიკე ყოფილიყო.... „გარდაცვალების შემდეგ ვესვიატსკოეში ქართველთა მართლმადიდებელი ეკლესიის გალავანში ვერ დაასაფლავებდნენ". (წერილები სულხან-საბა ორბელიანის შესახებ. (გვ. 304).

...„დასაფლავებულ იქნა იქვე მართლმადიდებელი ეკლესიის გალავანში" (გვ. 305).

...„მისალები და შესაწყნარებელი გამხდარიყო მართლმადიდებელ ქართულ ეკლესიაშიც" (იქვე გვ. 329).

არსად „მართლმადიდებლური".

„მწუხრისა" და „ცისკრის" ბოლოს გუნდი გალობს: „დაამტკიცე, ღმერთო, და განაძლიერე ღვთივდაცული ერი ჩვენი და მეუფება მისი, წმინდა მართლმადიდებელი სარწმუნოება, მართლმადიდებელთა ქრისტიანეთა, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!"

ასე რომ — ჩემი „საყველპურო მსჯელობა" და „ინტუიცია" არც ისე ხელწამოსაკრავი ყოფილა თქვენს ენციკლოპედიურ განათლებასთან შედარებით.

### აქა ამბავი „წიგნებში თვალის ჩაკვრისა"

თქვენი წერილიდან: „პატივცემულ მოძღვარს ამ სტრიქონების ავტორის ხელიდან გამოსულ წიგნებში ოდესმე თვალი რომ ჩაეკრა, ყოველ ნაბიჯზე ნახავდა, რომ „კათოლიციზმი", „კათოლიკე", „კათოლიკური", „კათოლიკე ეკლესია" და სხვა ავტორისათვის ახალი ხილი არ არის. მოხდა ისე, გადაუდებელმა საჭიროებამ მოითხოვა და მე მათი მნიშვნელობა ლექსიკონებიდან არ მისწავლია, არც ენციკლოპედიაში ამომიკითხავს".

რაკი ასეა, მაშ, დედის მუცლიდან გამოგყოლიათ. ბარაქალა! მადლობის მეტი რა გვეთქმის!

მაგრამ დავიწყოთ „თვალის ჩაკვრიდან".

ჯერ ერთი, ფოლკლორის დამფასებელი ბრძანდებით და ნუთუ არ იცით, რას ნიშნავს „თვალის ჩაკვრა", „თვალის ჩაპაჭუნება?" ალბათ, ყველაფერს ნიშნავს, გარდა წიგნის „წაკითხვისა", „გადაკითხვისა", „გადაფურცვლისა" და „გადათვალიერებისა". „ჩაკვრა" შეიძლება ნისკარტისა, ნისკარტივით ცხვირისა, ჩვეულებრივი ცხვირისა — სხვის საქმეში და კიდევ ფეხისა — წუმპეში!

მეორე. აქამდე მეგონა, რომ წიგნი ტვინის პროდუქტია და არა ხელის. ნუთუ არ წაგიკითხავთ უხელო, ანუ უთვალისჩინო (რაც ერთი და იგივეა) ავტორის წიგნი? მე, პირადად, უთავოსიც წამიკითხავს, და რამდენიც გნებავთ, იმდენი. წიგნი კი არა, ქოთანი რომ ქოთანია, ისიც კი ტვინის ნაყოფია, რევაზ ბატონო.

რაკი სიტყვამ მოიტანა, მინდა — თქვენი წიგნების გამოც მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა.

წავიკითხე თქვენი ყველა წიგნი, ზოგიერთი ახლაც კი მახსოვს. წავიკითხე ძალიან მძიმე „მძიმე ჯვარი" და „საშინლად" მომეწონა ერთი ფრაგმენტი... ალბათ ხვდებით, რომ ლაპარაკია ნ. ლორთქიფანიძის ლაზიკასა („რაინდები") და თქვენი მახარობელას ბიძაშვილ-მამიდაშვილობაზე...

წაკითხული მაქვს ჰორის დონემდე აუწონავი „აწონილი სიტყვა", რომლის ავტორსაც, ვფიქრობ, არა აქვს არანაირი უფლება — ჩემს არაკომპეტენტურობაზე ილაპარაკოს. წიგნში დასმული საკითხები (თემები) არ უნდა გექციათ თქვენი განსჯის საგნად.

წაკითხული მაქვს „ჯვარცმული კუნძული", რომლის გამოც, მეტი თუ არა, უხერხულობას მაინც უნდა გრძნობდეთ. მე მინახავს „ჯვარცმული კუნძულიდან" — ტექსელიდან დაბრუნებული სადმელელი კაცი, კობზონაძე, რომელიც მოკლა... სინდისის ქენჯნამ. ამ წუთისოფელში მე მას ველარ შეგახვედრებთ, მაგრამ შემიძლია შეგახვედროთ ტექსელიდან ონელი კაცი, ვისთანაც ათწუთიანი გასაუბრების შემდეგ, თქვენს „ჯვარცმულ კუნძულს" ცეცხლში გადაუძახებდით, თუ კი, რასაკვირველია....

აი, ეგ იქნებოდა ვაჟკაცური საქციელი, თორემ უკვე „გამოწურული ლიმონის" —წითელი პარტბილეთის გადაგდება დიდი ვერაფერიშვილი გმირობაა, თუკი უარს არ ამბობთ იმ სარფზე, მისი მეოხებით რომ მოგინაგრებიათ.

ამ ზამთარს „ლიტერატურულ საქართველოში" წავიკითხე წელიწადის დროისა და პოლიტიკური კლიმატის შესაფერი, ფრიად აქტუალურ ოსურ-ქართულ თემაზე დაწერილი თქვენი ფარისევლური ნაცოდვილარი, თქვენი აზრით, დიპლომატურად შორსგამიზნული მოთხრობა-აპოლოგია ოსური რაინდული სულისა, ქება-დიდება იმ ოსებისა, რომლებიც, სინამდვილეში, მესრებსა და ღობეებს ამოფარებულნი დღესაც ქვებს ესვრიან „ქართულ" ავტომანქანებს.

ასე რომ, რევაზ ბატონო, სულ ტყუილად ჩამომითვალეთ თქვენი ნაშრომ-ნაღვაწი ისე, თითქოს, რაღაც უცხო კვაზარები აღმომი[illegible]ნეთ, მე ისინი ყველა [illegible] ჩემი ძალიან ცუდი ჩვეულებისა გამო— არ შემიძლია, არ წავიკითხო.

### „რაისთვის მეტყვი მე უფალს? არავინ არს უფალი თვინიერ ღმრთისა"

„უფალი პავლე", „უფალ პავლეს", „უფალმა პავლემ" — ასე მომიხსენიებთ წერილში და ერთადერთხელ მართებულად — მოძღვარი. ელემენტარული ზრდილობა მოითხოვს, ადამიანს მიმართოთ, როგორც წესია და რიგი, და არა —ირონიით. თუ „ირონია" მე გამოვიგონე და ვცდები, მაშინ ვცდები სრულიადაც არა თქვენს სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში, ნება მიბოძეთ, ეჭვი შევიტანო თქვენს ენციკლოპედიურ ცოდნაში.

მიმართვის ფორმა „უფალი" გავრცელებული იყო რუსეთში XX საუკუნემდე. (რუსულის გავლენით ქართველი არისტოკრატიაც (სხვათა შორის, გვარით ნამდვილად არისტოკრატი ბრძანდებით) „უფალს" ხმარობდა XVIII-XIX საუკუნეებში) ამგვარად მიმართავდნენ მაღალ საერო ხელისუფალთ, ზოგადად — თავისზე იერარქიულად მაღლა მდგომთ და არა მაინცდამაინც სასულიერო პირთ.

### დღეს კი არავინ არს უფალი გარდა ღმერთისა

ვერ ვიტყვით, რომ ჩემი წერილი არ წაგიკითხავთ; წაკითხვით წაგიკითხავთ, მაგრამ **არ გაგიგიათ** („უჩემოდ ვინ იმღერეთა"-ს წყეული სინდრომი).

ვიმეორებ: გთხოვთ, დაასახელოთ ბერძნული სიტყვა, რომლის ძირი, ფუძე იქნება „კათალიკ", სხვანაირად ვერ დაგიჯერებთ. „ქართლის ცხოვრებიდან" ამონაწერები არგუმენტებად არ გამოდგება, ვინაიდან „კათოლიკოსი" ბერძნულია და არა „ქართლის ცხოვრების" ავტორთა მიერ შექმნილი; მათ, უბრალოდ, „მოახერხეს" მისი დამახინჯება. ვფიქრობ, ეს თქვენთვისაც ნათელია, მაგრამ აქ სხვანაირად გახლავთ საქმე — თქვენ გიყვართ არა ჭეშმარიტება, არამედ... პლატონი (საკუთარი თავი).

ვთქვათ, დაგიჯერეთ თქვენ, მაშინ რაღა ვუყოთ განსვენებულ კ. კეკელიძეს, რომელიც თავის სქელტანიან ტომებში სრულიად საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს ყველგან „კათოლიკოსად" მოიხსენიებს?

მაგალითები გნებავთ? ინებეთ: „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან" ტომი VIII —. კათოლიკე მისიონერების ცნობით „კათოლიკები არიან ქართლის კათოლიკოსი დომენტი, იმერეთის კათოლიკოსი ბესარიონი" (წერილები სულხან-საბა ორბელიანის შესახებ" გვ. 341). „ქართული ლიტერატურის ისტორია"— „კათოლიკოსბაქარიანი", წერს ყველგან „კათოლიკოსს", არც ერთხელ „კათალიკოსს".

„ძველი ქართველი მწერლობის ისტორია" ტომი I, „ისტორიულ-ლიტერატურული და მხატვრულ-იდეური მიმოხილვა შემდეგ მწერალთა შემოქმედებისა: ...„კირიონ კათოლიკოსი", „კათოლიკოსი არსენი II", [illegible]კათოლიკოსი ანტონ [illegible] ვფიქრობ, საკმარისია. საერთოდ მთელ თავის შემოქმედებაში კ. კეკელიძე [illegible] „კათალიკოსს". მე [illegible] თქმა უნდა, მისი უფრო მჯერა, ვიდრე თქვენი. [illegible] „საქართველოს [illegible]" უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის „ეპისტოლეებში" და, ვფიქრობ დათრგუნავთ იმ „აბიბინებულ" ამბიციებს თქვენში რომ ლაღობს. თუ ამანაც არ დაგაკმაყოფილოთ, წაიკითხეთ დავით აღმაშენებლის „ანდერძი", იქნებ მაშინ მაინც აღიაროთ, რომ სიტყვა „კათოლიკოსი", რასაც ჩვენი უდიდესი მეფე და მწიგნობარი საჭიროებისამებრ ორჯერ ხმარობს, XX საუკუნის მიწურულს ველარ ჩაითვლება ნეოლოგიზმად.

### ზევსის პოზა: „სადავოდ და საკამათოდ არ მითქვამსო".

ბატონო რევაზ, მაინც ვისგან ბრძანდებით ხელდასხმული საკვლევად იმისა, რომელია სწორი — „კათალიკოსი" თუ „კათოლიკოსი?" როგორ მოგივიდათ აზრად, რომ ამის გარკვევა, მაინც და მაინც, მწერლის საქმეა და არა მღვდლისა? როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, მე პირიქით მგონია და ვფიქრობ, სანერვიულო და ძილის გასატეხი არაფერი გჭირთ! მშვიდად იყავით და აკეთეთ თვენი საქმე.

ცოტა რამ თქვენი „ქართულის" ირგვლივაც.

საინტერესოა, რის თქმა გნებავთ ამ ორი წინადადებით: ...„ამ კრებამ (იგულისხმება ეფესოს 431 წლის მსოფლიო საეკლესიო კრება პ. ბ.) სხვათა შორის ეროვნულ ეკლესიათა აუტოკეფალიის საკითხებიც განიხილა. პროტესტანტული მოძრაობა შუა საუკუნეების ევროპაში, რომელიც კათოლიკური ანექსიის წინააღმდეგ სწორედ ეროვნული დროშით გამოდიოდა?" (კითხვის ნიშანი თქვენია პ. ბ.).

ცისქვეშეთში არ მეგულება კაცი, რომელსაც აქედან რაიმე აზრის გამოტანა შეეძლოს.

ქართველ მწერალს არ ეკადრება კალკი რუსულიდან: „პირადად მე რაც შემეხება". ცუდი ფორმაა „მანამდე", რადგან სიტყვა „მანამ" თავად ნიშნავს „მდე"-ს.

„მოხდა ისე, გადაუდებელმა საჭიროებამ მოითხოვა და მე მა[illegible] მნიშვნელობა ლექსიკონებიდან [illegible] მისწავლია არც ენციკლოპედი[illegible] ამომიკითხავს". სრული უაზრობაა. თქვენ გინდათ თქვათ, რომ „აუცილებლობამ არ მოითხოვა და მე მათი მნიშვნელობა ლექსიკონებიდან არ მისწავლია, არც ენციკლოპედიაში ამომიკითხავს". — ეს უკვე თავშეუკავებელი ტრაბახია, რევაზ ბატონო.

თქვენ რომ მღვდელი ბრძანდებოდეთ, აღნიშნულ ლაფსუსებზე კრინტს არ დავძრავდი, მაგრამ სამწუხაროდ, მწერალი ბრძანდებით, ფრიად პროდუქტიულიც, ხალხი კითხულობს თქვენს წიგნებს და სწავლობს ქართულს და ეს ქართული უთუოდ უნდა იყოს ქართული.

მადლობას ვერ მოგახსენებთ რჩევისათვის — ჩემი საქმე ვაკეთო, იმ მიზეზის გამო, რომ მე „ჩემი საქმე" ცუდად არ მიკეთდება. თუ მაინც ეჭვი გეპარებათ, დაესწარით ჩემს წირვა-ლოცვას, ანდა მოუსმინეთ ჩემს მიერ დაარსებულ სიონის ვაჟთა გუნდს, რომლის მიერ შესრულებული საგალობლების 70 პროცენტი თქვენი მონამორჩილის მიერ გახლავთ დაწერილი. იგულისხმება, რომ მათი ავკარგიანობის შეფასებას არ გთხოვთ, რამეთუ ეს საქმე არ ხელგეწიფებათ.

**მინაწერი:** სხვათაშორის, რევაზ ბატონო, მორწმუნე ქართველ კაცს ქრისტეს მოადგილედ დედამიწაზე რომის პაპი კი არ უნდა მიაჩნდეს, არამედ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

**დეკანოზი პავლე ბერიშვილი**
**1990 წლის 1 ივლისი.**
**გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში.**

# ჩავატაროთ სრულიად საქართველოს დეპოლიტიზაცია

დღეს საქართველოს ჰყავს ახალი პარლამენტი, რომლის წევრთა უმრავლესობა, გამორჩევით კი მისი ხელმძღვანელის ბატონ ზვიად გამსახურდიასი, დღენიადაგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას და მორალურ დამცირებას კომუნისტური პარტიის მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ წარმოება დაწესებულებებში ჩატარდა დეპოლიტიზაცია, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ პარტიის წევრები უკვე გავიდნენ პარტიის რიგებიდან. მათი დიდი ნაწილი თავიანთი ნება სურვილის მიუხედავად კვლავ ირიცხებიან პარტიის რიგებში. და იმ მოტივით, რომ ისინი უკვე დიდი ხანია აღარ იხდიან პარტიის საწევრო ანარიცხს, მათ ჰგონიათ, რომ ავტომატურად ითვლებიან პარტიის რიგებიდან გარიცხულად. სინამდვილეში ეს ასე არაა. მე მგონი დეპოლიტიზაციის ჩატარების ასეთი უმტკივნეულო მეთოდი წარმოადგენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიზანმიმართულ მოქმედებას, რომელიც არსებითად არ ამცირებს საქართველოში სკკპ წევრების რაოდენობას და ნებისმიერ მომენტში, ეს ფაქტი დაპირისპირებული ძალების მიერ, საქართველოს საწინააღმდეგოდ შეიძლება ძალზე მარჯვედ იქნას გამოყენებული.

ვინაიდან ახალი პარლამენტი დაადგა ჭეშმარიტ გზას, აღადგინა საქართველოში ოდითგანვე არსებული ქრისტიანული წესები და დღესასწაულები, ჩემი ღრმა რწმენით, საქართველოში ანტიქრისტიანული კომუნისტური პარტიის არსებობას არავითარი გამართლება არ გააჩნია და იგი დიდ დანაშაულადაც კი მესახება ქართველი ერის წინაშე. აკი ქრისტიანული მოძღვრების პირველი მცნება გვეუბნება: „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი უცხონი ჩემსა გარეშე".

მოგიწოდებთ ყველას, ვისაც გიყვართ საქართველო და ოცნებობთ მის კეთილ მომავალზე, ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტოთ საქართველოს მთლიანი დეპოლიტიზაცია, რათა განვთავისუფლდეთ სატანის ტყვეობიდან და იმპერიალისტურ ბნელ ძალებს გამოვაცალოდ საქართველოში თავისი პოლიტიკური საყრდენი.

საჭიროდ მიმაჩნია, დაუყოვნებლივ, ერთიანი ძალისხმევით ჩავატაროთ, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დეპოლიტიზაციის ერთდღიური შემდეგი წესით: დანიშნულ დღეს ყველა მსურველი გამოცხადდეს თავისი პარტიული მანდატით მითითებულ ადგილზე, სადაც თქვენ დაგხვდებათ გამზადებული ორმო-სამარე, რომელშიც თქვენი ხელით მოისვრით თქვენს პარტიულ მანდატს და იქვე არსებულ ჟურნალში დააფიქსირებთ თქვენს ვინაობას. შესაძლებლად მიმაჩნია ამ პროცესის ჩატარება ჯგუფური წესითაც. კერძოდ, ნებისმიერი ორგანიზაციის ან საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მსურველებმა წინასწარ შეადგინონ სკკპ რიგებიდან გამსვლელთა სიები ხელის მოწერების დადასტურებით და დანიშნულ დღეს, დანიშნულ ადგილზე წარმოადგინონ ეს სიები პარტიული მანდატების თანდართვით. საყოველთაო დეპოლიტიზაციის ადგილებად ავირჩიოთ ქ. თბილისის საქართველოს კომპარტიის ცკ-ს შენობის ეზო, იქ, სადაც იდგა ლენინის ძეგლი, აგრეთვე საქართველოს ყველა რაიონების საქალაქო ან სარაიონო კომიტეტების მიმდებარე ტერიტორიები. სკკპ რიგებიდან გამსვლელთა აღრიცხვა აუცილებელია, რათა ქვეყანას ვამცნოთ საქართველოს სრული დეპოლიტიზაციის შესახებ. ღრმად ვარ დარწმუნებული, წარმოება დაწესებულებებსა და საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გამოჩნდებიან მოთავენი, რომლებიც წარმატებით გაართმევენ თავს დეპოლიტიზაციის პროცესის გამართვას.

პროცესის დამთავრების შემდეგ, ორმო-სამარეს დაეყრება ბეტონი და გაკეთდება „სარკოფაგი".

დეპოლიტიზაცია გავმართოთ 1990 წლის 22 დეკემბერს, დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე; დეპოლიტიზაციის დასრულების შემდეგ წავიდეთ ქრისტიანულ ტაძარში, დავანთოთ წმინდა სანთლები და აღვავლინოთ მონანიების ლოცვა: „განმბანე მე უსჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმინდე მე, რამეთუ უსჯულოება ჩემი მე უწყი, და ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის".

მოდით, 1991 წელს შევხვდეთ განწმენდილები!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი**
**გურამ ჩაჩანიძე**
**1990 წლის 28 გიორგობისთვე**

საქართველოს მეზღვაურთა და მებადურთა

# მიმართვა

**საქართველოს ეროვნულ პარლამენტს!**
**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას!**

„ასპიტსა და ვასილიკოსსა ზედა ხვიდოდი და დათრგუნო შენ ლომი და ვეშაპი"...

შორეული ატლანტის ოკეანიდან ქართველი მეზღვაურები გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენის პოლიტიკური ბრძოლის გზაზე ჩვენი ერის უდიდეს გამარჯვებას, მისი ნების ფაქტობრივად და იურიდიულად გამომხატველი ეროვნული პარლამენტის, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შექმნასა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ თქვენს არჩევას. ღმერთმა მოგანიჭოთ მშვიდობა, სიმართლე. აღივსოს ყოვლითა კეთილითა მრავალტანჯული ერი ჩვენი და იყოს ძლევა ჯვარითა ბარბაროსთა ზედა...

დღეს, როდესაც დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი ქრისტიანობის ურყევ საძირკველზე დაფუძნებული სახელმწიფოს კონტურები იკვეთება, ჩვენ, საქართველოს მეზღვაურები და მებადურები ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეროვნული პარლამენტის, უზენაესი საბჭოსა და პირადად თქვენი საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულებათაგანი იქნება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებული მწვავე კრიზისის დასაძლევად, სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკის შესაქმნელად (რომელიც ითხოვს რადიკალური რეფორმების გადაუდებელ აუცილებლობას) ოდესღაც არსებული, წარსულის ლაბირინთებში ჩაკარგული საქართველოს საზღვაოსნო ძლიერების აღდგენა-აღორძინება.

საქართველოში დღეს საბჭოთა იმპერიალისტური სტრუქტურების ერთ-ერთი აუღებელი ბასტიონი, თავით-ფეხამდე რუსულენოვანი, აურაცხელი აკრძალვა-ინსტრუქციებით, მითითებებით, დადგენილებებითა და ყაზარმული წესდებებით გამკვიდრებულ-გაქვავებული საქართველოს საზღვაო სანაოსნო, „საქთევზმრეწვი" და დამხმარე ფლოტია. შორეული ნაოსნობის მეზღვაურთა და მებადურთა მონური შრომისა და სტიქიასთან შეუპოვარი ბრძოლის შედეგად დაღვრილი ოფლი, ასეულ მილიონობით ოქროს ნაკადებად ქცეული, სადღაც შორს, ბაბილონს მიედინება ისე, რომ ჩვენს მიწა-წყალს მხოლოდ შხეფებიღა თუ ხვდება...

ჩვენ, საქართველოს შორეული ნაოსნობის მეზღვაურები და მებადურები, სრულიად საქართველოს მეზღვაურთა ასოციაციის წევრები, მოგმართავთ თხოვნით — ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, მომავალი ეროვნული ფლოტის შექმნისა და მისი შემდგომი განვითარება-განმტკიცების მიზნით დაუყოვნებლივ გაატაროთ ქვემოთდასახელებული ღონისძიებები:

1. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, „საქთევზმრეწვისა" და დამხმარე ფლოტის ყველა მცურავ ერთეულზე და მათთან დაკავშირებულ სახმელეთო ორგანიზაციებში უმკაცრესი კონტროლის ქვეშ დაინერგოს ქართული, როგორც სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა.

2. სტრუქტურულად გარდაიქმნას და შემცირდეს სსრკ საზღვაო სამინისტროსა და თევზის მეურნეობის სამინისტროს მიერ შექმნილი მარიონეტული, კორუმპირებული პროფესიული კავშირები და მათი უზარმაზარი მმართველი აპარატები.

3. ზემოთაღნიშნული ორგანიზაციების მიერ მოგების თითქმის ასი პროცენტი მიედინება ცენტრში და მხოლოდ რამოდენიმე პროცენტიღა თუ რჩება სასულდგმულოდ ჩვენს ეგრეთწოდებულ ფლოტს. სამაგიეროდ გვიგზავნიან მათ მიერ გამოშვებულ გარდამავალი დროშებისა და სხვადასხვა ხარისხის სიგელების თითქმის ას პროცენტს. ფაქტიურ გამოყოფამდე, მდგომარეობა შესაცვლელია პირიქით.

4. შეიქმნას საქართველოს უმაღლესი საზღვაო სასწავლებელი, როგორც აუცილებელი წინაპირობა ეროვნული კადრების მომზადებისა. დაინერგოს წესი მეზღვაურთა საერთაშორისო დიპლომების გაცემისა და შორეული ნაოსნობის კაპიტნების საქართველოში დამტკიცებისა.

5. ყველა გემზე აღიმართოს საქართველოს რესპუბლიკის დროშა. გემების კვამლსადენ მილებზე ნაცვლად ნამგალისა და უროსი, ამოიკვეთოს საქართველოს რესპუბლიკის გერბი.

6. შეიცვალოს გემების სახელები. როგორიცაა: „გრიგოლ ორჯონიკიძე", „მიხა ცხაკაია", „საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავი" და სხვანი.

7. საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ერთ-ერთ გემს დაერქვას საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახელი.

8. მეზღვაურებში ხელოვნურად გავრცელებული მღელვარების ნეიტრალიზების მიზნით, რომელიც გამოწვეულია კავშირიდან გასვლის შემთხვევაში გემების ჩამორთმევისა და მათი უმუშევრად დარჩენის შიშით, გვაცნობეთ თქვენი გადაწყვეტილებანი ამ საკითხის ირგვლივ, როგორც ჩვენი ინტერესების ერთადერთი მფარველი მთავრობისა.

მეზღვაურთა ასოციაციის წევრები:

**ზურაბ გუჯაბიძე,**
ტანკერ „ბროზ ტიტოს" კაპიტნის უფროსი თანაშემწე,
**შაქრო ვარშანიძე,**
შორეული ნაოსნობის კაპიტანი,
**თენგიზ ნანეიშვილი,**
ტრაილერ „საქართველოს" კაპიტან-დირექტორი,
**გიორგი ჯგუბურია,**
ტრაილერ „ბათუმის" კაპიტან-დირექტორი,
**თამაზ ხაბიაშვილი,**
ტრაილერ „სალხინოს" კაპიტან-დირექტორი,
**ბარი გელაშვილი,**
კაპიტნის უფროსი თანაშემწე.
(დეპეშის სტილი დაცულია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა

# SOS!

ამ ბოლო დროს ცალკეულ პიროვნებებსა თუ ორგანიზაციებზე ზემოქმედების ერთ-ერთ ეფექტურ ფორმად საპროტესტო აქცია იქცა, რაც უმეტესწილად აქციის

კავშირში 70 წლის მანძილზე ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაისმოდა «молодым везде у нас дорога, старикам везде у нас почет»...

მაგრამ როცა გამოფხიზლდით, აღმოჩნდა, რომ ყველაზე დაუცველები სწორედ ახალგაზრდები და ხანდაზმული ადამიანები არიან, შეიძლება პარადოქსადაც ჩაითვალოს, რომ თბილისში არ აღ-

კომპლექსური ცენტრის შექმნა დღეს აუცილებელია. ცენტრისა, სადაც შესაძლებელი იქნება ჩავატაროთ სამეცნიერო კონფერენციები, საერთაშორისო სკოლები, ჩამოვაყალიბოთ კომპიუტერული კლასები, უცხო ენების შემსწავლელი კურსები, მოვიწვიოთ გამოჩენილი მეცნიერები, რომლებიც ლექციათა კურსს წაიკითხავენ. ახალგაზრდულ კოლექტივებსა და თეატრალურ სტუდიებს საშუალება ექნებათ გვიჩვენონ თავისი ხელოვნება, მოეწყობა ახალგაზრდა მხატვართა გამოფენები... რაც მთავარია, იმედი გვაქვს, რომ ახალგაზრდული ცენტრი გახდება ის ადგილი, სადაც თავს მოიყრის ჩვენი ახალგაზრდობის პოტენციალი, შეიქმნება ღლეისათვის ფანტასტიკური, მაგრამ ხვალ რეალობად ქცე-

როცა კოოპერატივის წევრთა ზედმეტად აღლევებულმა მრავალრიცხოვანმა „დელეგაციამ" დაღებითი რეზოლუციისთვის განათლების სამინისტროს მიაკითხა, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩენილმა სამინისტროს ხელმძღვანელობამ ასეთი დადგენილება გამოიტანა: „გამოეყოს ტერიტორია, თუ ეს ხელს არ შეუშლის ახალგაზრდულ ცენტრს". ქალაქის აღმასკომმა კი ეს გადაწყვეტილება ასე გაიგო — „საქართველოს განათლების სამინისტრო დაეთანხმა აღნიშნულ ტერიტორიაზე ... ხლის მშენებლობას" და განკარგულება გასცა, მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ 1 ოქტომბერს აქ მშენებლობა დაწყებულიყო.

ახლა კი თვალი გავადევნოთ, რა მოჰყვება სტუდქალაქის ტერიტორიაზე ერთი საცხოვრებელი სახლის ჩადგმასაც კი: — სტუდქალაქში მცხოვრები ოჯახები მოითხოვენ სწორედ ამ სახლის ბინებით დაკმაყოფილებას. განათლების სამინისტროს თანამშრომლები, რომელთა თხოვნას ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობის გამო უარყოფდნენ, ასევე ამ ტერიტორიაზე მოითხოვენ საცხოვრებელი სახლის მშენებლობას. ასევე აქვთ პრეტენზია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს... როგორ ფიქრობთ, ისინი ვერ მოახერხებენ საპროტესტო აქციის მოწყობას? და სად არის გარანტია, რომ ისინი მშენებლობის უფლებას არ მიიღებენ? ისიც გასათვალისწინებელია, არქიტექტურული თვალსაზრისით რას მივიღებთ უკვე ჩამოყალიბებულ რაიონში: პროექტების მხატვრულ ღირებულებაზე არაფერს ვიტყვით; ამას

...

რისადმი.

დღეს საზოგადოებამ მთელი სიმწვავით გაითავისა, რომ განათლებული, ფართოდ ერუდირებული, ჯანმრთელი ახალგაზრდობის გარეშე ქვეყნის კეთილდღეობა წარმოუდგენელია. საბჭოთა

...თელობა კი, უძრაობის გამო, ახალგაზრდა ასაკშივე შერყეულია. გვხვდებიან ისინიც, ვისაც მხოლოდ გართობა აინტერესებს და თავის დროს უქმად ხარჯავს. ამიტომაც ვთვლით, რომ სამეცნიერო, სპორტული და გასართობი

...კოოპერატივის წევრებმა მიწის გამოყოფა მოითხოვეს ყიფშიძის ქუჩაზე. ვინაიდან ეს ტერიტორია ვაკის სტუდქალაქს ეკუთვნის, განათლების სამინისტროს თანხმობის გარეშე ტერიტორიის გამოყოფის უფლება არავის ჰქონდა.

...დები აღარ ვიქნებით. მაგრამ ხომ უნდა ვიზრუნოთ მათზე, ვინც ჩვენს მერე მოვა?

**ახალგაზრდა მეცნიერთა ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტი.**

---

# ახალი დოკუმენტური მასალები ჰუჯაბზე

# მეზობელო




(ბალაქანი)

დევ სამხარი მოქმედების დროს დადგენილი (სადემარკაციო ხაზი), რომელიც პირდაპირ „საჰაერო" ხაზით იყო გატარებული, სოფლიდან სოფლამდე; ხაზის გატარების მთავარი არგუმენტი ტყის საზღვარი იყო. მოგეხსენებათ, ტყე ცვალებადია, ხან აიწევს, ხან დაიწევს მისი გავრცელება. ეს პირობა სომხეთს აწყობდა, და ისეა გატარებული საზღვარი, რომ საქართველოს მხარეზე უტყეო ზონაა დარჩენილი. თუმცა, ამის შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ. ამდენად, არ ყოფილა გათვალისწინებული რესპუბლიკების არც გე-

...ბის სია თან ახლავს). ამ მოსახლეობის ნაწილი ლორის სტეპებში ცხოვრობს და მთლიანად მოკლებულია ტყეს. მეორე ნაწილი ლორისა განლაგებულია ლორისა და ახტალის სატყეოსთან. ეს ტყე იმდენად გაიკაფა ჯერ კიდევ მეფის ხელისუფლების დროს, რომ მათი გადარჩენა ძნელია. ამიტომაც ახკერფის ტყე არის ერთადერთი რესურსი სტეპური ლორის რაიონის დანარჩენი სოფლებისათვის. ამდენად მოსახლეობას აქვს ახკერფის ტყისაკენ მიზიდულობა, ორგანულად არის მასთან დაკავშირებული და მის გარეშე არსებობა

...ნენ, ბორჩალოს მაზრის დაბალ ადგილებში მცხოვრები მოსახლეობისათვის სასიცოცხლო ინტერესები ჰქონდა. ასეთი ადგილები კი სომხეთის რესპუბლიკაში მოექცა, სადაც ტყის მასივებს მტა-

...ის (ჰუჯაბის) ტყე დაგვითმეთო, რადგან მოსახლეობის მიზიდულობა აქეთკენ არისო.

2. როგორც ცნობილია, ალავერდის სპილენძის გამოსადნობი ქარხნის რაიონში ტყე არ არის,

...

...მი ... (ფ. 1969, აღწ. 2, ს. 138, ფ. 12). ცოტათი ადრე, 19 იანვარს რაპორტში კი აღნიშნულია, რომ სომეხთა მცირე შეიარაღებული ბანდები შემოდიან ოთხი მიმართულებით და ისევ ბრუნდებიან თავიანთ სოფლებში. ესენია — 1. ალავერდი-ხოჟორნი-შულავერი (დღევანდელი შაუმიანი); 2. ახკერფი-ოფრეთი-შულავერი; 3. შარამიბეკი-ჯანდარი-ჩათახის ქარხანა — ბოლნის-ხაჩი-

დასაწყისი იხ. № 182.

...ფლებს შორის; დაბნეულობაში შეჰყავდა ადმინისტრაციული ორგანოები. ამის მიხედვით სოფ. ახკერფი ჰუჯაბის მონასტერთან ერთად საქართველოს ფარგლებში დარჩა (ფ. 607, ან. I, ს. 73), თუმცა აქ საზღვარი წლების მანძილზე მერყეობდა.

ეს იყო უთანასწორო, ძალად თავს მოხვეული დადგენილება, რადგან ყოველგვარი საზღვრის გატარების წესები იქნა უგულვებელყოფილი. საქმე ისაა, რომ საზღვარი დროებითი იყო ჯერ კი-

...მაღლობებზე; თითქოს 1922 წლის 7 სექტემბრის საქართველოსა და სომხეთის მიწათმოქმედების კომისრებმა დაამტკიცეს სომხეთისათვის გადაცემულიყო სადავო ზოლი. საარქივო საბუთები კი სულ სხვას მეტყველებს (ფ. 607 — ან. I, ს. 1135). შემდეგ კი ჩამოთვლილია ის მოტივები 4 პუნქტად, რისთვისაც ითხოვენ საქართველოს ტერიტორიას ჰუჯაბის მიდამოებში. მათ შორისაა:

I. ტყე რომელთანაც 36 სოფელია 57 ათასი სულით (სოფლე-

...გამოიწვევს საკითხის ხელახალ გადასინჯვას, რამდენადაც საკითხის ასე გადაწყვეტა წარმოადგენს ერთადერთ საზღვრის გატარების ცხოვრებისეულ ვარიანტს" შეშმარიტი ნათქვამია, დავას საფუძველი აქვს, სხვაგვარად იგი არ გადაწყდება...

**კოტე ხარაძე**

(გაგრძელება იქნება.)

ჰონორარი გადაირიცხება ხოფელ ჰუჯაბის მშენებლობის ფონდში.

# კარისაო...



---

# საქართველო მრავალეროვანი ქვეყანა არაა

გაზეთებში ზედიზედ ქვეყნდება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიებისა და ბლოკების პროგრამები, რომლებშიც საქართველო წარმოდგენილია როგორც **მრავალეროვნული ქვეყანა**, ხოლო იქ ქართველებთან და აფხაზებთან ერთად მცხოვრები სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები — როგორც **ეროვნული უმცირესობანი.** კადნიერებაში არ ჩამომერთმევა, ალბათ, თუ ამ ფორმულირებაში კორექტივს შევიტან და ვიტყვი, რომ

განსახლებულია ერთი პოლიტიკური (პოტესტარული) წარმონაქმნის შიგნით კომპაქტურ ტერიტორიაზე და წარმოადგენს განსაზღვრულ სოციალ-ეკონომიკურ მთლიანობას. ეს ეთნოსოციალური ორგანიზმი ისტორიულად ცვალებადია. ეს უდევს საფუძვლად ეთნოსოციალური ერთობის ისეთი ისტორიულ-სტადიალური ტიპების გამოყოფას, როგორიცაა **ტომი, ეროვნება, ერი.**

ეთნოსოციალურ ორგანიზმში, ძირითადი ეთნოსის გარდა, რომელიც ქმნის თვით ამ ეთნოსოცია-

...

...პოლიტიკური (პოტესტარული) ერთობები: მაგ. ტომი — საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებზე, სახელმწიფო — მომდევნო, შემდგომ საფეხურებზე. ეთნოსოციალური ორგანიზმი, ეთნოსოციალური ერთობა ეთნიკურთან ერთად (კულტურასთან ერთად), ჩვეულებრივ გულისხმობს ტერიტორიულ, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ერთობასაც. მაგრამ ეთნოსოციალური ორგანიზმის ძირითადი კომპონენტებია, ერთი მხრივ, ეთნიკური, მეორეს მხრივ, სოციალ-ეკონომიკური ფაქტორები. ყოველი ეთნოსოციალური ორგანიზმი გულისხმობს განსაზღვრულ ეთნოსს, რომელიც

...ენის მიხედვით) ქმნის ეთნოსოციალურ ორგანიზმს (ეროვნებას, ერს), ასეთ როლში გამოდის ისეთი სოციალური ორგანიზმი, როგორიცაა სახელმწიფო. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ის წარმოადგენს ეთნოარეალურ, ან ეთნოდისპერსულ ჯგუფს, ასეთ როლში გამოდის ოჯახი, თემი, სოფელი და ა. შ. ამიტომ, როდესაც ლაპარაკია ეთნოსის ცალკეულ, მათი ძირითადი მასივისაგან მოწყვეტილ ნაწილებზე, ისინი უნდა განვიხილოთ არა როგორც ეთნოსოციალური ორგანიზმები — ეროვნებები, ერი, არამედ როგორც ეთნოსოციალური ჯგუფები, ჩაბმული არა თავისი მასივის, არამედ იმ სოციალურ-ეკონომი-

კური კავშირების სისტემაში, რომელიც დამახასიათებელია იმ სოციალური ორგანიზმისათვის (ჩვენს შემთხვევაში საქართველოს სახელმწიფოსთვის), რომელშიც შედიან ეს ეთნოსოციალური ჯგუფები ამჟამად.

არაიშვიათად, ასეთი ჯგუფები, იყენებენ რა ეთნიკურ ფაქტორს, ცდილობენ შექმნან ერთიანი, კულტურული (ზოგჯერ რელიგიური) და თვით ადმინისტრაციული ხასიათის გაერთიანებები.

ამრიგად, მეცნიერული პოზიციიდან გამომდინარე, არიან, თუ არა ჩვენში მცხოვრები სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები, ეროვნებები, ან ერები? რა თქმა უნდა, რომ არა (მათგან ზოგიერთისათვის დამახასიათებელია ძლიერი ტენდენცია შექმნას თავისი სოციალური ორგა-

...

...მიზეზის გამო — და ამ მიზეზებს არაფერი საერთო არა აქვთ საქმის ინტერესებთან — ზოგიერთების გაღიზიანებას იწვევს) უნდა განისაზღვროს ამ მოსახლეობის სტატუსი და შეიმუშავოს უცხოს (არა აქვს მნიშვნელობა რას დავარქმევთ ამ უცხოს, მოსულს, არამკვიდრს, თუ სხვა რამ უცხოურ სახელწოდებას. მთავარია, რომ მოსახლეობის ასეთი კატეგორია რეალურად არსებობს) მიღება-დასახლების მექანიზმი **მომავლისათვის მაინც** ისე, როგორც ეს დღევანდელ, ცივილიზებულ და მაღალდემოკრატიულად აღიარებულ ქვეყნებშია მიღებული.

**ჟუჟუნა ერიაშვილი**

---

## საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის განცხადება

საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის ორგანოს, გაზეთ „ოქროს საწმისის" რედაქტორმა, ბატონმა ჯანო ჯანელიძემ საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის დაუკითხავად და საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის მხრიდან სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ნოდარ ჭითანავას მიმართა განცხა-

...

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ზვიად გამსახურდიას

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის რესპუბლიკური ორგანიზაციის თითოეული წევრი იზიარებს იმ სიხარულს, რომელიც ეროვნული ძალების გამარჯვებას მოჰყვა.

გულწრფელად გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევას და გისურვებთ ქართველი ერის სანუკვარი მიზნების წარმატებით განხორციელებას.

პატივისცემით,

**საქართველოს ახალგაზრდული კავშირი.**

# ეს უკვე მეტისმეტია...

პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით უკვე ცნობილია ის შემაძრწუნებელი ფაქტი, რომ 27 ნოემბერს გუდაუთის მახლობლად აფხაზთა ერთი, საკმაოდ დიდი ნაწილი, ასე ორიათას კაცამდე, თავს დაესხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, რომელიც აფხაზეთში ჩავიდა ეკლესიების შეკეთება-აღდგენის სამუშაოების მოსანახულებლად. სრულიად საქართველოს-კათოლიკოს პატრიარქი ერთი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში. მან მოიარა გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის რაიონების ყველა ეკლესია, გაეცნო მრევლს. და აი, გაგრიდან სოხუმისაკენ მიმავალთ გზა გადაუღობა გაავებულმა ბრბომ, რომელიც არ მოერიდა ქართული ეკლესიის მწყემსმთავარის შეურაცხყოფასაც კი. დამხვდურები წიხლებს ურტყამდნენ კათოლიკოს-პატრიარქისა და მისი თანმხლები პირების მანქანებს, უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ მათ, მოძალადეებმა ისიც შესძლეს, რომ რამდენიმე მანქანიდან გადმოყარეს ხალხი, სცემეს და მანქანები გადააყირავეს. ამასაც მოვესწარით, რომ უწმინდურებმა უწმინდესზე ხელის აღმართვაც გაბედეს. აი, სადამდე მიგვიყვანა დამნაშავეებისა და ბოროტმოქმედებისათვის თავზე ხელის გადასმამ, აქაოდა, ძმათა შორის შუღლის გაღვივება და მოძმეთა დაჩაგვრა არ დაგვბრალდესო. ამ თავზარდამცემ ფაქტს არავითარი გამართლება არა აქვს. მას ვერ გაამართლებს ვერც იმ აფხაზი დედების პათეტიკა, ვინც აფხაზეთში პატრიარქის ჩასვლის წინა დღეებში გაზეთ „აფხაზეთში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ისინი გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ ძმის მკვლელის მოღალატედ გამოცხადების ბრძანების გამო. ეს აშკარად შეთითხნილი ამბავია, რადგანაც შეუძლებელია ჭკვათამყოფელმა ადამიანმა არ იცოდეს, რომ განსხვავებაა სისხლისმიერ ძმასა და დაძმობილებულს შორის. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანებაში ხომ სწორედ სისხლისმიერი ძმის მკვლელის სასჯელზე იყო საუბარი.

აფხაზეთის მთავრობა თურმე აფრთხილებდა სტუმარ-მასპინძლებს, რომ არ ჩასულიყვნენ გუდაუთის რაიონში, აფხაზი მოსახლეობა აღშფოთებულია და რაიმე შეურაცხყოფა არ მოგაყენონო. ჩვენ კი ვიტყვით, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, რომელსაც ისიც კი არ შეუძლია, ან არ სურს, ერთი მცირე რაიონის ფარგლებში დაიცვას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, იმ რესპუბლიკის კათოლიკოს-პატრიარქი, რომლის შემადგენლობაშიც შედის მისი ავტონომიური შენაერთი, უნდა გადადგეს. მას არა აქვს უფლება განაგებდეს იმ რეგიონში მოსახლე ადამიანების ბედს.

ეს ფაქტი საგანგებოდ არის ინსპირირებული. ამას გვაფიქრებინებს ისიც, რომ ახლანდელი კათოლიკოს-პატრიარქი თერთმეტი წლის განმავლობაში იყო ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი და იგი მხოლოდ ერთა შორის ძმობასა და მეგობრობას ქადაგებდა და საქმითაც იღვწოდა საამისოდ და საპასუხოდ თავისი მრევლის სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

ნუთუ ჭეშმარიტ აფხაზებს არაფერს ეუბნება ის, რომ ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ექვემდებარებოდა დასავლეთ საქართველოში აფხაზეთის საკათალიკოსო თავისი საეპისკოპოსოებით და ის აფხაზები, რომლებთან ერთადაც ქართველებს მრავალი ჭირი გადაუტანიათ და მრავალი ლხინიც უზეიმიათ, ქრისტიანები იყვნენ? ამ და კიდევ ბევრ კითხვაზე უნდა დაფიქრდნენ აფხაზები და სწორი პასუხიც იპოვონ, თუ უნდათ, შეინარჩუნონ სტუმარ-მასპინძლობის, მეგობრის გატანის და ბევრი სხვა სასახელო ტრადიცია, რითაც ასე ცნობილი იყო აფხაზი ხალხი.

და საერთოდაც, თუ გვინდა, რომ ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის აღდგეს ის კეთილგანწყობილი, მეგობრული თუ ნათესაური ურთიერთობა, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავადგინოთ ვინ ამღვრევს წყალს და საკადრისი მივუზღოთ ორივე ხალხის მტრებს.

## სარედაქციო განცხადება

**ალნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით 29 ნოემბერს საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრმა ბატონმა ბორის კაკუბავამ რედაქციაში მოიტანა ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიასადმი. მასში სავსებით სამართლიანადაა დაყენებული მოთხოვნა, რათა სასტიკად დაისაჯონ ქართველი ხალხის მტრები, ბარბაროსული აქტის მონაწილენი. მაგრამ რედაქციამ თავი შეიკავა წერილის გამოქვეყნებისაგან, რადგან მიაჩნია, რომ მასში მოყვანილი აზრი აფხაზეთის ამბებისადმი ძველი კომუნისტური და ახალი ეროვნული ხელისუფლების ერთგვაროვანი დამოკიდებულების შესახებ უსაფუძვლოა და მიუღებელი.**

**რედაქცია ყოველთვის მზადაა ადგილი დაუთმოს ნებისმიერი პოლიტიკური ძალის კონსტრუქციულ მოსაზრებებსა და წინადადებებს, თუ ისინი მიმართულია სტაბილურობისაკენ.**



# უფრთხილდით ანტიქრისტეს!

**27 ნოემბერს** მოხდა გაუგონარი რამ, აფხაზი ეროვნების ფანატიკოსებმა გზა გადაუღობეს გაგრიდან სოხუმისკენ მიმავალ უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის მანქანას და საფრთხეში ჩააგდეს მისი სიცოცხლე.

ამან არ შეიძლება არ გამოიწვიოს არა მარტო აფხაზი ქრისტიანების, არამედ სრულიად საქართველოს, მთელი მსოფლიოს მართლმადიდებელ ქრისტიანთა და უფრო მეტიც — სხვა სარწმუნოების მიმდევართა, ყველა კეთილი ნების ადამიანის გულისწყრომა.

ეს არის არა მარტო ქართველი ხალხის წინააღმდეგ განწყობილი, კორუმპირებული აფხაზური პარტოკრატიის, იმპერიულ ძალთა მიერ გაბრიყვებული მასის რეაქცია, არა მარტო ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა შელახვა, არა მარტო ჰუმანიზმის საერთაშორისო პრინციპებზე ბარბაროსული თავდასხმა, არამედ თვით ქრისტეს წინააღმდეგ მიმართული სატანური აქცია. კომუნისტური კერპებით გაბრიყვებულმა წარმართებმა ომი გამოუცხადეს საქრისტიანო კაცობრიობას!

გვჯერა, რომ ქართული ეკლესია აფხაზ მორწმუნეებთან ერთად ილოცებს შეცდომილთა სულებისათვის, მაგრამ როგორ მოვიქცეთ ჩვენ — ქართველები და აფხაზები, აქამდე რომ ვერ მოვერიეთ სატანას, რომელიც ჩვენს შორის ჩამდგარა, თვალებს გვიბრმავებს, მრავალსაუკუნოვან საერთო წარსულს გვავიწყებს, ჩვენი საერთო სამშობლოს ისედაც მრავალგზის დაფლეთილი, ისედაც შავრენის ტყავივით დაპატარავებული სხეულის დასაწიწკნად და ერთმანეთში გასაყოფად გვიბიძგებს?

ხედავთ, სანამდის მივედით? ხედავთ, როგორ ბრმად ვენდეთ ზღვის სანაპიროზე გაცნობილ ბობოლა ფუნქციონერებს, რომელთაც მარტო აგარაკების აშენება უნდათ და აფხაზი ხალხი სულაც არ ადარდებთ, თბილ ადგილებზე მოკალათებულ ბრეჟნევ-სუსლოვის გამოზრდილ ბიუროკრატებს, რომელნიც საკუთარი ხალხის ხარჯზე ჯიბეებს ისქელებენ და ჰკა მაგასო — ხელს ქართველებისკენ იშვერენ; მათს კალთას ამოფარებულ მაფიას და ამ სამივე ძალის ნასუფრალზე მოსუქებულ ვაი-მწერლებს და ვაი-ისტორიკოსებს?

ხედავთ სანამდის მივედით? აღარც ამხანაგობა გვახსოვს, აღარც მეგობრობა, აღარც ნათესაობა, აღარც ნათელმირონობა, აღარც ძუძუმტეობა-მორდუობა... ახლა უკვე ღმერთიც აღარ გვახსოვს?

ვისი ბრალია ეს, ვინ დაგვიკარგა სიყვარული, ვინ დაგვიკარგა რწმენა, ვინ დაგვიმსხვრია ზარები, ვინ ამოთხარა თვალები ფრესკებს?

განა ქართველებმა წაბილწეს აფხაზთა წმინდა ადგილები, განა აფხაზებმა დაგვინგრიეს ეკლესიები? ხომ ვიცით, ეს ვინც გააკეთა და მაინც გვჯერა მათი უშუალო შთამომავლების, რომელნიც ერთიან საბჭოეთში სოციალისტურ სამოთხეს გვპირდებიან?

უფრთხილდით ანტიქრისტეს, აფხაზებო და ქართველებო, ანტიქრისტეს, რომელიც ფსოუს ნაპირებიდან აღმოსავლეთისკენ მოიპარება!

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!

**რომან მიმინოშვილი**

---

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის

# მიმართვა

საქართველოს უზენაესი საბჭოსადმი

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თვალსაზრისით, ამა წლის 27 ნოემბერს აფხაზეთში მომხდარი ინციდენტი, თავისი უზნეობითა და უტიფრობით აღემატება აფხაზი ხალხის გზააბნეული, გონებადაბნელებული და გათავხედებული ნაწილის მიერ ადრე ჩადენილ, ყოველ სხვა მტრულ გამოხდომას — მართალია, 1989 წლის ზაფხულში სოხუმში მომხდარ ინციდენტს მსხვერპლი მოჰყვა. რამაც ეს ინციდენტი ტრაგედიად აქცია, მაგრამ უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შეურაცხყოფა, მისი უსაფრთხოების ხელყოფა და, რაც მთავარია, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობისათვის მის სამწყსოსთან ურთიერთობის ღვთითკურთხეული უფლების აღკვეთა, ბევრად უფრო მძიმე ისტორიული და ზნეობრივი დანაშაულია, ვიდრე თუნდაც უდანაშაულო ადამიანის მოკვდინება.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიას მიაჩნია, რომ ამ ინციდენტის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და უკეთეს შემთხვევაში ამ საქმის ბოლომდე მიყვანა ე. ი. დამნაშავეთა საკადრისი დასჯა საკმარისი არ არის — უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ამ ინციდენტის ზნეობრივი დაგმობა! — საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია მოითხოვს:

საქართველოს უზენაესმა საბჭომ უზრუნველყოს გუდაუთაში, სოხუმში და თბილისში ზნეობრივი სახალხო პროცესების ჩატარება, რომელთა მიზანი იქნება, 27 ნოემბერს მომხდარი ინციდენტის ისტორიული შეფასება, დაგმობა და ბოლოსდაბოლოს ამ ეჭვმიუტანელი ბოროტებისადმი აფხაზეთის მთავრობის, მშვიდობიანი მოსახლეობის, ინტელიგენციისა და „აიდგილარას“ წარმომადგენლობის პრინციპული დამოკიდებულების ერთხელ და სამუდამოდ გარკვევა!

**საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის სახელით: ირაკლი წერეთელი, თორნიკე ფიფია, თეიმურაზ ხუმბათაშვილი, ნოდარ ცქიპაშვილი, ვასილ ხომერიკი, ავქსენტი გოგოლაძე, რობერტ ბირკაია, ვალერი კალანდარიშვილი, მამუკა ცაგარელი, კობა ხაბაზი, გია თვალავაძე.**

28.XI-90.

---

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნოს

# განცხადება

**საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნო დიდად აღაშფოთა ა. წ. 27 ნოემბერს გუდაუთის რაიონში მომხდარმა ამბავმა. მრავალრიცხოვანმა აღვირახსნილმა ბრბომ შეურაცხყოფა მიაყენა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს უწმინდეს და უნეტარეს ილია II და მის თანმხლებ პირთ. ცივილიზებული საზოგადოებისათვის ეს სრულიად შეუფერებელი საქციელი უთუოდ სათანადო შეფასებას იმსახურებს.**

**მოვუწოდებთ აფხაზეთში მოღვაწე ჟურნალისტებს, განურჩევლად ეროვნებისა და მრწამსისა, ხელი შეუწყონ მომხდარი ფაქტის ობიექტურ გაშუქებას. ისეთი საზოგადოებრივი აზრის შექმნას, რომელიც გააერთიანებს საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების წარმომადგენლებს. ეს ყველა ჭეშმარიტი ჟურნალისტის პროფესიული და ზნეობრივი ვალია.**

**ჟურნალისტთა კავშირის სამდივნო გამოთქვამს რწმენას, რომ ზემოთ დასახელებული აქციის ინსპირატორები საკადრის პასუხს აგებენ.**

---

# მოსკოვი, კრემლი

# 16, 17, 23 ნოემბერი

**საქართველოს „ეროვნული თანხმობისა და აღორძინების“ კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ბატონი [illegible] ადვაძე გვიზიარებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს IV [illegible] მიღებულ შთაბეჭდილებებს.**

როგორც იცით, 14 ნოემბერს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები კვლავ შეიკრიბნენ. სესიის განახლების პირველივე დღეს საუბარი ძალიან მკვეთრად წარიმართა ქვეყანაში არსებული ვითარების გამო. გამომსვლელები ეხებოდნენ რა პროდუქტებისა და სხვა საგნების დეფიციტის პრობლემებს, იქვე ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა უკვე აშკარა რეალობაა და რა უნდა გაკეთდეს მის გადასარჩენად. სესიაზე დეპუტატებმა კატეგორიულად მოითხოვეს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის გამოსვლა და უზენაესი საბჭოსათვის ანგარიშის ჩაბარება იმის თაობაზე, თუ რა ხდება ქვეყანაში და რატომ არ ღებულობენ რადიკალურ ზომებს კავშირის დაშლისაგან გადასარჩენად. დეპუტატებმა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აიძულეს დაენიშნათ პრეზიდენტის მოსმენა მესამე დღეს, ე. ი. 16 ნოემბერს და დეპეშებიც აფრინეს იმ დეპუტატებთან, რომლებიც არ ესწრებოდნენ ამ სესიას. ამასთანავე მიიწვიეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელი. ჩვენთან გადაწყდა, რომ სესიაზე გამგზავრებულიყო საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი აკაკი ასათიანი.

**16 ნოემბერს** მიხეილ გორბაჩოვი გამოვიდა თავისი მოხსენებით, რომელმაც, რასაკვირველია, ვერავინ ვერ დააკმაყოფილა. კამათში ძალზე ბევრი დეპუტატი ჩაეწერა, მაგრამ გადაწყვიტეს, რომ ჯერ მოკავშირე რესპუბლიკებიდან ჩამოსული ხელმძღვანელობის წარმომადგენლობისათვის მიეცათ სიტყვა, ამის შემდეგ, ალბათ, გახსოვთ, თუ როგორ გამოაცხადა ლუკიანოვმა: სიტყვა ეძლევა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესო. ბატონმა აკაკი ასათიანმა გამოსვლისთანავე შენიშნა ეს და თავისი სიტყვაც სწორედ ამის შესწორებით დაიწყო.

ახლა ხშირად მეკითხებიან, რა შთაბეჭდილება მოახდინა დარბაზზე ბატონი აკაკის გამოსვლამ და რა გამოხმაურება მოჰყვა ამას საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოში. რეაქცია ჩვენი წარმომადგენლის განცხადებაზე იყო სწორედ ისეთი, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო იქ, სადაც უმრავლესობა აგრესიულად მორჩილი იყო. რასაკვირველია, აგრესიულად მორჩილ უმრავლესობას ასეთი თავისუფალი, ლაღი გამოსვლა და შეუბოჭავი, პირდაპირი მიმართვა არ მოეწონებოდა და სხვანაირად არც ჩვენ მოველოდით იმათგან, ვინც მხოლოდ მორჩილებას მოითხოვს მოკავშირე რესპუბლიკებისგან და თავს ყველაზე ჭკვიანად მიიჩნია. თანაც იმის განცხადება, რომ საქართველო არ მოაწერს ხელს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ცხადია, ძალზე გამაღიზიანებელი იქნებოდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობისათვისაც და დარბაზის უმრავლესობისთვისაც. ამას მოჰყვა გამოსვლები. ჩვენთვის ყველაზე შემაშფოთებელი იყო მეორე დღეს ყალმუხი პოეტის დავით კუგულტინოვის სიტყვა, რომელიც ყოველთვის გამოდის ავტონომიების სახელით და არძინბასთან ერთად ითვლება ავტონომიების ინტერესების დაცვის ერთ-ერთ ლიდერად სსრკ უზენაეს საბჭოში. მან ბატონ აკაკი ასათიანის გამოსვლის იმ ეპიზოდზე, რომელიც საქართველოს ავტონომიებს შეეხებოდა, ცინიკური შენიშვნა გააკეთა. ვიდრე კუგულტინოვი ტრიბუნიდან ჩამოვიდოდა, მე მივედი დარბაზის ერთ-ერთ მიკროფონთან და მისი გამოსვლის დამთავრებისთანავე განვაცხადე: უზენაესი საბჭოს წევრებს შევახსენებ, რომ გუშინ საქართველოს წარმომადგენელმა გარკვევით თქვა, რომ საქართველოს ახალი ხელმძღვანელობა არ აპირებს ავტონომიების გაუქმებას. რაც შეეხება ავტონომიების მოსახლეობას, მასთან ჩვენ თვითონ გავარკვევთ ურთიერთობასო. ეს ჭეშმარიტება გახლავთ, რამეთუ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემა — ქართველის ურთიერთობა აფხაზთან, ოსთან და ასე შემდეგ, უნდა გადაწყდეს, უნდა მოწესრიგდეს მხოლოდ საქართველოში, ყოველგვარი ჩარევა ცენტრიდან არა თუ ეხმარება საქმეს, არამედ პირიქით, ამწვავებს პრობლემას. აქამდე, როგორც ცნობილია, ამგვარი ჩარევა ყოველთვის უარყოფით შედეგს იძლეოდა. ამიტომ ჩვენ სხვის დაუხმარებლად თვითონ მოვნახავთ საერთო ენას ჩვენს ხალხთან.

ჩემი გამოსვლის შემდეგ გამოვიდნენ არძინბა და ჩეხოევი, რომლებმაც დაახლოებით ის აზრი გაატარეს, რომ, მართალია საქართველოს არ უნდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა, მაგრამ ავტონომიების მოსახლეობას სურს ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერაც და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ცხოვრებაც. რასაკვირველია, ამან ძალიან ცუდი რეაქცია გამოიწვია ჩვენში. სესიის შემდეგ მე შევხვდი მათ და გავახსენე, თუ როგორ ცვლიდა სომეხი დეპუტატის გამოსვლას ყარაბაღის საკითხზე აზერბაიჯანელი დეპუტატის გამოსვლა, ან პირიქით, და ყოველივე ეს როგორ იქცა დარბაზში მსხდომთათვის სასეირო სანახაობად. ამიტომ ვთხოვე, გაეთვალისწინებინათ ეს მწარე გამოცდილება და არ გაგვეხადა თავი სხვების სასეიროდ. ჩვენი ურთიერთობა თვით საქართველოში ჩვენ უნდა მოვაწესრიგოთ და რომ საკავშირო ტრიბუნიდან კინკლაობა მხოლოდ და მხოლოდ გაამწვავებს და დააპირისპირებს ჩვენს ხალხებს-თქო. პირადი საუბრისას თითქოს დაეთანხმნენ ჩემს აზრს, მაგრამ როგორც ჩანს ისინი მაინც იყენებენ ხოლმე ამ ტრიბუნას, რათა თავიანთ ხალხს აჩვენონ — აი, ყველგან ვიცავთ თქვენს ინტერესებსო. ამას პირადად მე უდიდეს შეცდომად ვუთვლი მათ, მით უმეტეს დღეს, როდესაც უკვე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სვლის გარდამავალი პერიოდი.

რაც შეეხება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილებას „ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ“ განხილვას: როგორც იცით, გორბაჩოვის გამოსვლამ ბევრი ვერ დააკმაყოფილა. განსაკუთრებით მემარჯვენეები და რეაქციონერები, აგრეთვე სამხედროები, რომლის, ასე ვთქვათ „საყვირადაც“ არიან წარმოდგენილნი ალკსნისი და პეტრუშენკო, რომლებმაც მწვავე საპასუხო გამოსვლები გააკეთეს.

მეორე დღესვე, **17 ნოემბერს**, უკვე მომზადებული იყო რეზოლუციის პროექტი და მაშინ ბატონ გორბაჩოვმა ძალზე მოკლედ, მაგრამ საოცრად ომახიანად, პირდაპირ განაცხადა, რომ კმარა თავდაცვაში ყოფნა და ახლა საჭიროა გადავიდეთ იერიშზეო. ეს, რასაკვირველია, მოეწონათ მემარჯვენე ძალებს, წარმოგვიდგინეს ღონისძიების პროექტი, სადაც ერთ-ერთ პუნქტში ჩაწერილი იყო, რომ რადგან შეიქნა საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების „კანონების ომი“, რაც იწვევს ანარქიას, დესტაბილიზაციას, ამასთან ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკების მიერ სუვერენიტეტის გამოცხადებაც ძალზე აფუჭებს საქმეს, ამიტომ მოკავშირე რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს მიეცეს წინადადება შეემოწმონ მორატორიუმი კონსტიტუციის დებულებებზე და იმ აქტებზე და კანონებზე, რაც მათ მიიღეს. და თუ ამაზე რესპუბლიკები უარს იტყვიან, მაშინ მიეცეს პრეზიდენტს რეკომენდაცია, რომ გამოიყენოს ყველა მის განკარგულებაში მყოფი უფლებამოსილებანი და საშუალებანი. ეს უკვე აშკარა მუქარაა რესპუბლიკებისადმი. მე მაშინვე მივეცი კითხვა დადგენილების შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარეს ალექსანდრე ქუჟავლიოვს: მაგალითად, რუსეთის ფედერაციის პარლამენტმა რომ ვეტო დაადოს პრეზიდენტის წინადადებებს, მაშინ როგორი იქნება პრეზიდენტის შემდეგი ნაბიჯები? ამაზე პასუხი არ მიმიღია, მაგრამ უკვე ცხადი იყო, რომ რესპუბლიკები ამ მუხლს არ მიიღებდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ, პირდაპირ თუ ვიტყვით, პრეზიდენტს ტანკები უნდა გამოეყვანა.

როგორც ჩანს, პრეზიდენტი ჩააფიქრა ამან და დავალება იქნა მიცემული შექმნილიყო კომისია, რათა დაეზუსტებინა ეს პროექტი და წარმოედგინა 23 ნოემბრისათვის, პრეზიდენტის იტალია-საფრანგეთიდან დაბრუნების შემდეგ.

როცა ჩვენ **23 ნოემბერს** დაგვირიგეს დადგენილების შესწორებული მეორე პროექტი, იქ ეს მუხლი აღარ იყო, მაგრამ იქ იყო ასეთი მე-3 მუხლი: მიეცეს უფლება პრეზიდენტს, თუკი აღმოცენდება საფრთხე მოქალაქეების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების მიმართ, გაატაროს მან ყველა ღონისძიება, თუნდაც საგანგებო, რესპუბლიკების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებულად. ეს ჩვენ განვიხილეთ და შენიშვნების, შესწორებებისა და საბოლოო დამატებების შემდეგ დაგვირიგეს დადგენილების მესამე პროექტი, სადაც ეს მუხლი შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: მიეცეს წინადადება პრეზიდენტს ადამიანის უფლებების დარღვევისა და მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების მი-

(დასასრული მე-6 გვ.).

---

1 დეკემბერი შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო დღეა




# შიდსი — რა ვიცით დაავადების შესახებ

**დაახლოებით** ორი თვის წინათ შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს საზოგადოებამ გამოაქვეყნა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ანკეტა, რომლის მიზანი გახლდათ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულების გარკვევა შიდსის პრობლემისადმი.

გამოკითხვას ათი ათასამდე ადამიანი გამოეხმაურა. მოეწყო ორგანიზებული გამოკითხვა სამედიცინო პროფილის დაწესებულებებშიც. შედეგები გაანალიზდა კომპიუტერის მეშვეობით. პირველი ციფრი საერთო გამოკითხვის შედეგია, ფრჩხილებში მოტანილი მონაცემი კი მედიცინის მუშაკთა აზრს გვაცნობს.

გამოკითხულთა 84,9% (98,2%) თვლის, რომ შიდსი ჩვენი საუკუნის ყველაზე საშინელი დაავადებაა. 77,03 % (96,1%) იზიარებს აზრს, რომ პრობლემა ჩვენი რესპუბლიკისათვის უაღრესად აქტუალურია. ამრიგად, გამოკითხულთა უმრავლესობა აცნობიერებს მოახლოებული პანდემიის საშიშროებას, მაგრამ ეს ერთი შეხედვით. მოვიყვანთ ციფრებს: 24,76% (31,39%) შიდსს უყურებს გულგრილად, 24,55% (18%) თვლის, რომ მას დაავადებასთან შეხების წერტილი არა აქვს, როგორც ვხედავთ, გამოიხატა გარკვეული შეუსაბამობა: შეუძლებელია თვლიდე, რომ შიდსი ჩვენი საუკუნის ყველაზე საშინელი დაავადებაა და ამავე დროს პრობლემას გულგრილად უყურებდე; ამასთან საინტერესოა, რა იგულისხმება დაავადებასთან შეხების წერტილის არქონაში. ის ხომ არა, რომ ამ ადამიანებს საერთოდ არა აქვთ და არც ჰქონიათ სქესობრივი კონტაქტები, ან რომ ისინი დარწმუნებული არიან თავიანთი პარტნიორების ერთგულებაში? ასეც რომ იყოს, წარმოუდგენელია ადამიანს არ მოუწიოს სამედიცინო დაწესებულებებისათვის მიმართვამ, კბილის ამოღებამ ან ინექციის გაკეთებამ, საპარიკმახეროებით სარგებლობამ და ა. შ. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ხომ ვირუსი საბჭოთა კავშირში, ძირითადად სამედიცინო დაწესებულებებით ვრცელდება. ასე რომ, თითოეული ჩვენთაგანი შედის ე. წ. რისკის ჯგუფში, მიუხედავად ასაკისა, სქესისა, ზნეობრივი სიწმინდისა, ეროვნებისა.

გამოკითხულთა 40,6%-ში (51, 65%) შიდსი პანიკურ შიშს იწვევს. 51,2% (53%) თვლის, რომ საკმარისად არის ინფორმირებული დაავადების შესახებ, 41,24% (47%) მიიჩნევს, რომ არა. ვფიქრობთ, რომ ამ უკანასკნელთა რაოდენობა გაცილებით მეტი უნდა იყოს, რის საფუძველსაც გვაძლევს შიდსის გადაცემების გზებთან დაკავშირებული პასუხების ანალიზი.

მაგალითად, მხოლოდ 53,24% (61%) თვლის, რომ დაავადება სქესობრივი კონტაქტით ვრცელდება. 38,48% (24,5%) კი სრულიად უსაფუძვლოდ მიიჩნევს, რომ დასნეულება შესაძლოა სისხლის ჩაბარებისას.

გამოკითხულთა მხოლოდ 32,28% (41%) თვლის შესაძლებლად ვირუსის გადაცემას საპარიკმახეროში წვერის პარსვის დროს, 36% (39,62%) — მანიკურისა და პედიკურის კეთებისას.

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის დიდ ნაწილს ჯერ კიდევ არ გაუცნობიერებია, რომ შიდსის გავრცელებაში დეზინფექციისა და სტერილიზაციის სრული იგნორირების პირობებში, სწორედ საპარიკმახეროებმა შეიძლება შეასრულონ სავალალო როლი ჩვენთან. მით უმეტეს, რომ გამოკითხულთა 30,34% (49,12%) სისტემატურად სარგებლობს საპარიკმახეროების მომსახურეობით, მათ შორის 23,1% იპარსავს წვერს, 15,79%(—) იკეთებს მანიკურებს და 13,03% (—) პედიკურს, კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ მამაკაცებს, არ გაიპარსონ წვერი სადალაქოებში, ქალებმა კი არ გაიკეთონ პედიკური და მანიკური ამ ტიპის დაწესებულებებში.

გამოკითხულთა 11,72% (10%) თვლის, რომ შესაძლებელია შიდსით დასნეულება აუზებით, საერთო აბაზანებითა და უნიტაზებით სარგებლობისას, 6,07% (3%) — ჰაერით, დაავადებულთან ლაპარაკისას; 3,31% (3,8%) — ხელის ჩამორთმევისას; 18,48% (35,48%) — კოღოსა და სხვა მწერების კბენისას; 5,66% (1,9%) — საერთო ჭურჭლით სარგებლობისას. საბედნიეროდ, საბოლოოდაა დადგენილი, რომ შიდსი ამ გზებით არ ვრცელდება.

გამოკითხულთა ნაწილში გამოიკვეთა მეტად სახიფათო ტენდენცია — 25,7%-ის აზრით, საჭიროა ვირუსმატარებლებისა და დაავადებულების საზოგადოებისაგან იზოლირება. საგანგაშოდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამავე აზრს იზიარებს მედიცინის მუშაკთა 54,26% (!) ზოგიერთი მათგანი ვირუსმატარებელთა სიკვდილით დასჯასაც კი მოითხოვს.

არაფერს ვამბობთ პრობლემის მორალურ-ეთიკურ მხარეზე, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ მისი ასეთი არაჰუმანური სახით გადაწყვეტა (ინფიცირებულთა იზოლირება საზოგადოებისაგან) უკურეაქციას გამოიწვევს; ვირუსმატარებელი თუ ავადმყოფი ყოველნაირად შეეცდება დამალოს დაავადების ფაქტი, არ მიმართოს სამედიცინო დაწესებულებებს, შესაძლოა, განგებ გაავრცელოს ინფექცია.

გამოკითხულთა 61,07%-მა (27, 39%) არ იცის, რომ პრეზერვატივით სარგებლობა გარკვეულწილად ამცირებს ინფიცირების რისკს, 17,03% (6,43%) თვლის, რომ პრეზერვატივის გამოყენება საერთოდ არ იცავს ადამიანს ვირუსისაგან. ვფიქრობთ, ეს არის შედეგი საინფორმაციო საშუალებათა მორცხვი დუმილისა იმ საკითხებზე, ცივილიზებულ სამყაროში კარგახანია ხმამაღლა რომ ლაპარაკობენ.

რესპოდენტთა 63,17% (62%) თვლის, რომ მოქმედი კანონმდებლობა მოქალაქეებს დასნეულების რისკისაგან არ იცავს. 54,41% (63,12%)-ის აზრით, სამთავრობო ორგანოები არ ატარებენ გადაუდებელ ღონისძიებებს, რათა შიდსი ფიზიკური განადგურებით არ დაემუქროს საქართველოს მოსახლეობას. გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ ამ თვალსაზრისით ჯანდაცვის ორგანოების მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. ერთჯერადი სამედიცინო ინსტრუმენტების დეფიციტის პირობებში, საუბედუროდ სტერილიზაციის ნორმების დაცვა არ ხდება. ამ აზრს ეთანხმება გამოკითხულთა 65,24% (73,2%).

გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა 91,01% (88,07%) უარყოფითად აფასებს სანეპიდსამსახურის საქმიანობას.

ცნობილია, რომ ეპიდემიის შეჩერების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვირუსმატარებლების ადრეულ გამოვლენას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 77,59 %-ს (81, 03%) არასდროს ჩაუბარებია სისხლი შესამოწმებლად. მათ შორის 13,79%-ს მოუცლელობის გამო; 25,45%-სათვის პრობლემა არააქტუალურია; 12,21% არ არის დარწმუნებული შემოწმების ანონიმურობაში, 17,17% ერთგვარ უხერხულობას გრძნობს; 24,34%-თვის უცნობია სათანადო ლაბორატორიების ადგილსამყოფელი.

მასობრივი ინფორმაციისა და რადიოტელევიზიის მიერ შიდსის პრობლემა სათანადოდ არ შუქდება. ამ მოსაზრებას 64,48% (71,17%) იზიარებს.

ამასთან, გამოკითხულთა დიდი ნაწილი გამოთქვამს მთელ რიგ საყურადღებო მოსაზრებებს, რომელთა გათვალისწინება უთუოდ ხელს შეუწყობს შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს საზოგადოებას თავისი მუშაობის წარმართვაში.

ვიმედოვნებთ, რომ ის ორგანოები, რომელთა მიმართაც ჩვენმა საზოგადოებრიობამ თავისი აზრი გამოთქვა, ასევე სათანადო დასკვნებს გამოიტანენ.



**შიდსის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს საზოგადოება (ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“).**

---



# იდეები „ახალგაზრდა ივერიელისათვის“

3; 3; 156; 430.000; 65.000.000! ასეთია „ახალგაზრდა ივერიელის“ სტატისტიკური მაჩვენებლები: გამოდის კვირაში სამჯერ, რვა გვერდის მოცულობით, ყოველ სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს; წელიწადში 156 ნომერი, ამჯერად მისი ერთჯერადი ტირაჟია 430.000, ხოლო წლიური — 65 მილიონი!

ახლა გაზეთზე ხელმოწერა დამთავრებულია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მკითხველთა გულწრფელი გამოხმაურება, გულწრფელი სტრიქონები უთუოდ დაგვეხმარება სამომავლო საქმიანობაში, რედაქციისა და მკითხველის გაერთიანებული ძალისხმევით შეიქმნება უკეთესი, უფრო შინაარსიანი და მრავალფეროვანი გაზეთი — 1991.

„ახალგაზრდა ივერიელი“ თავისუფალი გაზეთია, ერთადერთი ქართული ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა, რომელსაც თავისი პერიოდულობისა და ტირაჟის გამო აქვს დიდი შესაძლებლობები იყოს ახალი საქართველოს ნაღდი მშენებელი, ახალი თუ ძველი თაობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ჭეშმარიტი მემატიანე.

27 ნოემბერს ჩვენი გაზეთის ყველა თაობის ჟურნალისტთა და მკითხველთა საქმიანი შეხვედრა-დიალოგიც სწორედ ამ ნიშნით წარიმართა.

შეკრებაზე აღინიშნა, რომ ყოველი პატრიოტული, ძვირფასი, რაც გაზეთის 70-წლოვან ისტორიას ახასიათებდა „ახალგაზრდა ივერიელის“ ყოველდღიური საქმიანობის საფუძველია — საფუძველია, ამიტომ გასახარია, როცა ნაცადი კოლეგები თავისი საყვარელი გაზეთისადმი ერთგულებას და თანადგომას გამოხატავენ, რისი დასტურიცაა ეს შეხვედრა-დიალოგი, რომელსაც ოციანი, ოცდაათიანი, ორმოციანი და შემდეგი წლების ჟურნალისტები და გაზეთის სხვა გულშემატკივრები ესწრებიან...

ასე დაიწყო. ამის შემდეგ თითოეული გამომსვლელი, ძველი თუ ახალი თაობის წარმომადგენელი, თავის აზრს, იდეას, სურვილს

და „ახალგაზრდა ივერიელს“ საგულისხმო იდეები, სურვილები და წინადადებები მოუტანეს ჟურნალისტებმა: დოდო ზურაბიშვილმა, ნანა ლვინეფაძემ, ეთერ ჯაფარიძემ, ალექსანდრე მახარაძემ, ვანო ჯავახიშვილმა, ნიკო შველიძემ, ვლადიმერ შავგულიძემ, დიმიტრი კალანდაძემ, ირაკლი გოცირიძემ, რობერტ ძერიამ, მუდმივმა მკითხველებმა და თანამოაზრეებმა ინგა მელითაურმა, ცაცო ფოლჩვერაშ-

თუ წინადადებას სიტყვით გამოხატავდა, სხვებს ქაღალდზე გადაჰქონდათ საკუთარი ნაფიქრ-ნააზრევი და იქვე მდგარ „იდეების ყულაბაში“ უშვებდნენ.

ერთი სიტყვით, ამ შეკრებამ მეტად სასარგებლო ნაყოფი გამოიღო, წარსულისა თუ აწმყოს მრავალი ხელიხელსაგოგმანები საკითხი წარმოაჩინა...

ჩვენი რედაქციისა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თაოსნობით გამართულ ამ შეხვედრა-დიალოგში მონაწილეობდნენ ვილმა, ეკა ქარცივაძემ, გელა გარაყანიძემ, თამარ ოთიაშვილმა, ლელა ბუხნიკაშვილმა და სხვებმა.

ახლა ჯერი ჩვენზეა: რედაქცია ეცდება თითოეული ფასეული იდეა, სურვილი თუ წინადადება საქმედ აქციოს — „ახალგაზრდა ივერიელის“ ფურცლებზე წარმოაჩინოს. ხოლო ახალი წლიდან დამკვიდრდება ახალი რუბრიკა, რომელშიც ყველა თანამოკალმის ნიჭს მიეცემა გზა ფართო...

**ზვანჯი მანია**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო**



# ორი კვირით...



# მაფიის წინააღმდეგ

[illegible]

...ლიკის შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოში ინსპექტორად, განყოფილების უფროსად. პოდპოლკოვნიკი გოგოლაძე 41 წლისაა, თბილისელი, ორი შვილის მამა. დღევანდელ ინტერვიუში იგი სწორედ ამერიკაში ორკვირიანი ვიზიტის შესახებ საუბრობს.

●

**— ბატონო ელდარ, საინტერესოა, როგორ ასწავლიან მაფიასთან ბრძოლას ამერიკაში?**

— ჩვენ მიგვიწვიეს შეერთებულ შტატებში ორგანიზებულ დანაშაულთან — მაფიასთან ბრძოლის საერთაშორისო ცენტრში. აქ სხვა ქვეყნებიდანაც იყვნენ მსმენელები. ლექციებს გამოცდილი მაძებრები გვიტარებდნენ. მათ გაგვაცნეს ამერიკული პოლიციის მუშაობის, კადრების მომზადების პრინციპები, მაფიასთან, ნარკომანიასთან, ეკონომიკასთან დაკავშირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, ამ ბრძოლაში გამოყენებული ოპერატიულ-ტექნიკური საშუალებები, გარდა ამისა, გახლდით ეროვნული დაზვერვის აკადემიაშიც. პრაქტიკული მეცადინეობებიც გვქონდა — 8 საათის განმავლობაში ამერიკელებთან ერთად ვასრულებდით საპატრულო-სამუშაო სამსახურს. ამ დროს ყველა ამერიკელი პოლიციელივით ვიცვამდით ტყვიაგაუმტარ ჟილეტს, რომელიც ორ კილომდე იწონის. გაუკვირდათ, როცა თავდაპირველად იგი მათსავით პერანგის შიგნით კი არა, ჩვენებურად — ტანსაცმლის გარედან ჩავიცვით. „საბჭოთა ჟილეტი" ხომ მხოლოდ 54-56 ზომის არსებობს და 10 კილოგრამამდე იწონის, ძლივს დავატარებთ ხოლმე.

**— ამერიკის პოლიციას ჩვენი მილიციისაგან მხოლოდ სახელი არ განასხვავებს, და მაინც რა იყო ამ მხრივ უფრო თვალშისაცემი?**

— ტექნიკური აღჭურვილობის მხრივ, ყველაფერი. ოღონდ, მაინც ხშირად ვფიქრობდი, რომ ჩვენი ბიჭები (ოპერატიულ მუშაკებს ვგულისხმობ) ამერიკელებზე უფრო მოხერხებულნი და გამჭრიახები არიან. გული მწყდებოდა, მათი აღჭურვილობა და მუშაობის პირობები რომ გვქონდეს, გაუხსნელი ხომ არც ერთი დანაშაული არ დაგვრჩებოდა-მეთქი.

პროფესიული მომზადების მინიმუმს თითოეული პოლიციელი ფლობს — შეუძლია ნებისმიერი სახის იარაღისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება.

პოლიცია არ მონაწილეობს პარტიულ-პოლიტიკურ ბრძოლაში. ყოველდღიურ მუშაობაში იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონითა და კონსტიტუციით.

პოლიციელი — ქალიცა და კაციც — პროფესიონალი მძღოლია, (პირადი მძღოლი მხოლოდ და მხოლოდ შერიფსა ჰყავს). თითოეულს სამსახურებრივი მანქანა ეძლევა, რომელსაც ოჯახისათვისაც იყენებს.

რაც შეეხება ტაბელურ იარაღს, [illegible]

[illegible] ნი მილიცია იურიდიულად და სოციალურად დაუცველია (წელს კავშირის მასშტაბით ათასზე მეტი დაიღუპა). პოლიციელის მკვლელი კი ამერიკაში სიკვდილით ისჯება, ამიტომაც მისი ხელყოფა იშვიათად ხდება. პოლიციელს აქვს იარაღის გამოყენების, დამნაშავის დაპატიმრებისა და სასამართლოში წარდგენის უფლება. რაც შეეხება მატერიალურ უზრუნველყოფას, — სახელმწიფო მოსამსახურეთა შორის მას ყველაზე მაღალი ხელფასი აქვს (დამწყები 32 ათას დოლარს იღებს წელიწადში).

ჩვენი სამუშაო დღე არანორმირებულია. იქ კი პოლიციელის ყოველი არასამუშაო საათი კომპიუტერის მიერ აღირიცხება და ხდება ფულადი ანაზღაურება შვებულებაზე გარკვეული დღეების დამატებით.

მთავარი მაინც ისაა, რომ ამერიკაში პოლიციელს შეუძლია დამნაშავე ყოველგვარი მოწმეების გარეშე დააკავოს. ჩვენთან კი არა. წარმოიდგინეთ, შუაღამისას რამდენიმე მილიციელი დანაშაულის ჩადენას შეესწრო. აბა, მათ ასეთ დროს მოწმეები საიდან მოიყვანონ (თანაც ჩვენი გულგრილი საზოგადოებიდან)?! დამნაშავის დაკავება კი შეუძლიათ, მაგრამ იგი შეიძლება დაუსჯელი დარჩეს მოწმეების არარსებობის გამო (მილიციელი მოწმედ არ ითვლება!).

**— მაგრამ, აქ უეჭველად ზნეობრიობის საკითხი დგება. არა გვაქვს გარანტია, რომ ჩვენი მილიციელი არ იცრუებს, ყოველთვის სწორ ჩვენებას მისცემს.**

— დიახ, ეს ჩვენში მართლაც პრობლემაა. ამერიკაში პოლიციელი ტყუილს ვერ იტყვის. დავუშვათ, მან ერთხელ იცრუა. თუ სასამართლოზე ეს გამოაშკარავდება, სახელი უტყდება არა მარტო პოლიციელს, არამედ მთელ იმ დეპარტამენტს, სადაც ის მუშაობს. იქ კი ნდობის დაკარგვა კარიერის დაკარგვას უდრის. ამერიკაში პოლიციელისადმი პატივისცემას ბავშვობიდანვე ასწავლიან. პატარებისთვის ყველაზე სახალისო სათამაშო სწორედ „რობოტი-პოლიციელია". იგი ბავშვებს მოძრაობის წესებს ასწავლის. პატარამ იცის, რომ ეს ფორმიანი ბიძია სანდოა და პატივსაცემი. ყოველი პოლიციელი თანამდებობით შერიფის თანაშემწედ ითვლება. შერიფი ჩვენებურად დაახლოებით იგივეა, რაც ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსი.

**— როგორც ერთადერთი მილიციის უფროსი დელეგაციიდან, თქვენ „საპატიო შერიფის" ნიშნით დაჯილდოვდით. რა განსხვავებაა აქაურ და იქაურ „შერიფთა" სამსახურებს შორის?**

— ფლორიდის შტატის კანონებით შერიფის თანამდებობა არჩევითია.

შერიფს თავისი საკონსულტაციო საბჭო ჰყავს, რომელშიც საგრაფოს ავტორიტეტული მოქალაქეები შედიან. აუცილებლობის შემთხვევაში ისინი სპონსორობას უწევენ პოლიციას. ჩვენი მასპინძელი ნიკ ნავარო ბროვარდის საგრაფოს შერიფი გახლავთ. მისი წლიური ხელფასი 95 ათასი დოლარია. საგრაფოს შერიფის სამსახურის ბიუჯეტი 178 მილიონ დოლარს აღწევს. ამას ემატება სპონსორთა მიერ გაღებული თანხები, მაშინ, როცა მთლიანად ჩვენი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი 75 მილიონი მანეთია. შერიფის სამსახურს ჰყავს ვერტმფრენები, სწრაფმავალი კატარღები, თვითმფრინავები, აქვს უახლესი ოპერატიული ტექნიკური საშუალებები. როგორც გითხარით, ისინი ამერიკელებმა გვიჩვენეს კიდეც. მათ შორის ადრე ჩვენთვის გასაიდუმლოებული აპარატურა.

**— დარწმუნებული ვარ, მასპინძლებს ეს აპარატურა მხოლოდ თავის მოსაწონებლად არ უჩვენებიათ. ბუნებრივია, თქვენ შეძენის სურვილი გაგიჩნდათ...**

— ეს სურვილი ჩვენ გამოვთქვით კიდეც ნიკ ნავაროს საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან შეხვედრისას. და, რაც მთავარია, პირადად შევხვდი და ვესაუბრე სადაზვერვო ელექტრონული საშუალებების უდიდეს მწარმოებელს მსოფლიოში — კორპორაცია „ტექნოს ინტერნაციონალის" [illegible]



[illegible]

...ქვას, მოსახლეობის დიდი ყოველი მათგანი ათობით ჩვეულებრივ პოლიციელს უდრის. ეს რაზმები თითოეულ საგრაფოს ჰყავს და ისინი მხოლოდ შერიფს ემორჩილებიან.

**— ბატონო ელდარ, ამერიკის პოლიციას მთავარ პრობლემას ნარკომაფია უქმნის. მართალია, არა ამ მასშტაბებით, მაგრამ ნარკომანიამ ჩვენთანაც მოიკიდა ფეხი. ამ თვალსაზრისით, რა იყო თქვენთვის იქაური კოლეგების გამოცდილებიდან საყურადღებო?**

— ნარკომანიასთან ბრძოლის მხრივ ჩვენი მდგომარეობა განსხვავებულია. მე ფლორიდის შტატში გახლდით. კოლუმბიიდან კოკაინის შტატებში კონტრაბანდის გზა (საჰაერო და საოკეანო) სწორედ ფლორიდაზე გადის. ამიტომაც, აქ განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრება საბაჟო სამსახურს.

შტატის კანონებით პოლიციას უფლება აქვს კონფისკაცია უყოს ნებისმიერი სახის კერძო სატრანსპორტო საშუალებას, რომელშიც ნარკოტიკებს აღმოაჩენენ. დამნაშავეთა გამოვლენის მიზნით მათ შეუძლიათ ამ ნივთიერების შეძენაცა და გაყიდვაც. ერთ ასეთ ოპერაციაში ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა; რამდენიმე კვარტალში გადაცმულმა პოლიციელებმა გაყიდეს ნარკოტიკები, რასაკვირველია, ყველა მყიდველი დააპატიმრეს. სხვათა შორის, გავეცანით საგამოძიებო ციხის პატიმართა ცხოვრებასაც.

**— ალბათ, ამ ციხეში პირობებიც განსხვავებულია...**

— აქ მყოფ პატიმრებს შეუძლიათ დილის 6 საათიდან 11-მდე საკნის გარეთ დაჰყონ. კვირაში სამჯერ სპორტდარბაზში ივარჯიშონ (საერთოდ, ამერიკაში სიგარეტი და ალკოჰოლი უკვე ცუდი ტონის მაჩვენებელია). კვება ნორმალური აქვთ, ერთჯერადი გამოყენების დანა-ჩანგალს ხმარობენ, საჭმელი თითოეულისათვის სტერილიზებულია, კამერები 1-2 ადგილიანია, ჰაერი კონდიცირებული. გამოგიტყდებით, ამერიკელ პოლიციელებს ჩვენი ციხეები უფრო მოსწონთ.

**— ბატონო ელდარ, ჩვენ ძირითადად პოლიციაზე ვსაუბრობთ. ცხადია, თქვენი შთაბეჭდილებანი მხოლოდ ამ თემით არ ამოიწურება.**

— ნამდვილად. მაგრამ ამით თავს არ შეგაწყენთ. დასასრულ, მინდა ჩვენს მილიციელებს ვუთხრა, რომ გული ნურაფერზე დაწყდებათ, წარსულის შეცდომების გასწორება ხომ ეს ესაა დავიწყეთ. ამერიკელებთან ტექნიკური აღჭურვილობის, კადრების მომზადების საკითხებში თანამშრომლობაც უთუოდ ხელს შეგვიწყობს ჩვენში ასე გახშირებულ დანაშაულთან ბრძოლაში.

ესაუბრა
**მაია თუნგია**

**სურათებზე:** ამერიკელი პოლიციელები „ცეცხლის ხაზზე"; საგამოძიებო ციხე; ელდარ გოგოლაძე და გურამ ქარქაშაძე.

# ქსც — „იბერია"

**„გლასნოსტი" გვატყობინებს**

ახლახან თადარიგში გაუშვეს და სამხედრო ნაწილის ტერიტორიიდან დაითხოვეს სამხედრო მოსამსახურე, დემოკრატიული კავშირის წევრი ევგენი კოსენკო. ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო საზოგადოებისათვის გადაცემული სტატიებისათვის, სადაც არმიაში ჯარისკაცების მძიმე მდგომარეობაზე იყო ლაპარაკი, ევგენი კოსენკოს ბოლო ორი თვის მანძილზე სდევნიდნენ და ავიწროვებდნენ სუკი და არმიის განსაკუთრებული ნაწილი. მას შემდეგ, რაც კოსენკოს წინააღმდეგ სუკის მიერ აღძრული სისხლის სამართლის საქმე (მიუხედავად იმისა, რომ მას ამ საქმის მიხედვით, სამხედრო საიდუმლოების გაცემა ედებოდა ბრალად), მაინც შეწყდა, სუკის წარმომადგენლები აიძულებდნენ მას მონანიების წერილი დაეწერა სამხედრო ოლქის გაზეთ „ნა სტრაჟე როდინი"-ში. მას შემდეგ, რაც კოსენკომ მტკიცე უარი განაცხადა, სუკის მუშაკებმა წერილი თავად შეთხზეს, მასში 10 პროცენტი ეკავა კოსენკოს დაკითხვის ოქმებიდან ამოწერილ ადგილებს, 90 პროცენტი —რედაქციის კომენტარს. თავად კოსენკო ლენინგრადიდან გაასახლეს. კოსენკოს მეგობარმა, რიგითმა სერგეი ალიოკინმა პროტესტის ნიშნად უვადო შიმშილობა გამოაცხადა. საბოლოოდ ორივე სამხედრო მოსამსახურე დაითხოვეს.

**„დს — ინფორმი" გვატყობინებს**

ვოლგოგრადი. ვოლგოგრადის ოლქის დვორიანსკოეს დასახლების სპეციალურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იმყოფება ვლადიმერ ივანეს ძე ნოვიკოვი, რომელსაც 1984 წელს გასამართლების შემდეგ იძულებითი მკურნალობა მიუსაჯეს. ის საბჭოთა კავშირის პოლიტპატიმრების სიაშია შეყვანილი. დემოკრატიული კავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციამ და „სამოქალაქო მოქმედების" კომიტეტმა, საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობისა და ნოვიკოვის საპატიმრო ტიპის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გათავისუფლების მიზნით, ფართო მუშაობა გაშალეს. მას შემდეგ, რაც საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ მახარაძემ კატეგორიული უარი განაცხადა როგორც პირადად, ისე საოლქო საბჭოს მეშვეობით, რაიმე მონაწილეობა მიეღო ნოვიკოვის ბედის გადაწყვეტაში, დემოკრატიული კავშირისა და „სამოქალაქო მოქმედების" კომიტეტის წევრებმა პოლიტპატიმრის დღეს პიკეტირება გაუკეთეს საოლქო საბჭოსა და პარტიის საოლქო კომიტეტის შენობას. მოპიკეტეებს ეჭირათ პლაკატები, რომლებიც საზოგადოებას აცნობდნენ ნოვიკოვს და მოუწოდებდნენ თავისი დამოკიდებულება გამოეხატა მახარაძის საქციელისადმი. ვოლგოგრადის პრესა ძირითადად დუმილით შეხვდა მომხდარს, პარტიის საოლქო კომიტეტის ორგანომ „ვეჩერნი [illegible] „სურკ ხლებზე საპყრობილეში", იქ უნდა იმყოფებოდეს სადაც აქამდე ნოვიკოვიაო. თუმცა პიკეტირებას მაინც მოჰყვა სასიკეთო შედეგი — შეიქმნა ექიმ-ფსიქიატრთა კომისია, რომელმაც ადგილზე შეისწავლა ნოვიკოვის მდგომარეობა და ის ფსიქიურად ფაქტობრივად ჯანმრთელად ცნო. ჩატარებული ექსპერტიზის საფუძველზე კომისიამ ვოლგოგრადის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს მიმართა წინადადებით, გადასინჯოს ნოვიკოვის საქმე.

მასალები მოამზადა
**კახა გაგლოშვილმა**

# ნაირნაირი

**პერესტროიკა თუ თვალებში ნაცრის შეყრა?**

პოლონელმა ფანტასტმა და ფუტუროლოგმა სტანისლავ ლემმა „ლიტერატურნაია გაზეტას" (14. XI. 90). კორესპონდენტისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მართალია, ის არ ეთანხმება ისტორიკოს მიხეილ გელერს, რომელიც წერს, რომ პერესტროიკა თვალებში ნაცრის შეყრაა. არანაირი პერესტროიკა არ იქნება და ყველაფერი ძველებურად დარჩებაო. მაგრამ, ამბობს ლემი, ერთი კი მჯერა, — პერესტროიკას რომ იწყებდა, გორბაჩოვმა თვითონაც არ იცოდა, სად მიიყვანდა ის, რადგან ცდებისა და შეცდომების მეთოდით მოქმედებდაო.

**„გამონაკლისი" სახაროვის ქვრივისათვის**

გასული წლის 14 დეკემბერს გარდაიცვალა ანდრეი სახაროვი (იმ მომენტში ის მარტო იმყოფებოდა ბინაში, რომლის კარიც არ იკეტებოდა). სახაროვის გაკვეთას მისი ოჯახის და ფიზიკის ინსტიტუტის (სახაროვი ამ ინსტიტუტში მუშაობდა) თანამშრომელთა წინადადებით, ოფიციალურად მონაწილე პათოლოგოანატომებთან ერთად, ესწრებოდა დამოუკიდებელი ექსპერტი, კრისტალური ადამიანი და უმწიკვლო რეპუტაციის მქონე სპეციალისტი, პროფესორი რაპოპორტი. „ლიტერატურნაია გაზეტას" (14. XI. 90) კორესპონდენტთან საუბარში ის აცხადებს, რომ სახაროვი ბუნებრივი სიკვდილით მოკვდა — მას გული გაუჩერდა. თუმცა, — აქვე უმატებს რაპოპორტი, — ეს არ ნიშნავს იმას, რომ მისი სიკვდილი არ დააჩქარეს (ფაქტია, რომ გადასახლებაში ყოფნისას სახაროვის გულს დიდი ზიანი მიაყენეს). კითხვაზე, შეიძლებოდა თუ არა მოწამვლას ჰქონოდა ადგილი, პასუხობს, რომ გაკვეთის დროს შეიძლება მხოლოდ დარიშხანით მოწამვლის ფაქტი დადასტურდეს, სხვა შემთხვევაში კი ამისათვის ანალიზებია საჭირო.

ერთი სიტყვით,—ასკვნის პუბლიკაციის ავტორი ოლეგ მოროზი, — თვით რაპოპორტასთვისაც არ არის ბოლომდე ნათელი სახაროვის სიკვდილის მიზეზი. პროკურატურა კი ჯიუტად დუმს და არად აგდებს საზოგადოებრიობის მოთხოვნას, ბოლოს და ბოლოს ნათელი მოჰფინონ ამ ამბავს. მხოლოდ ამ ცოტა ხნის წინათ, სახაროვის ქვრივის სპეციალური მოთხოვნის შემდეგ, მას „გამონაკლისის სახით" წარუდგინეს ოფიციალური დასკვნა სახაროვის სიკვდილის მიზეზების შესახებ. ამ დასკვნაში თითქოს საეჭვო არაფერია, თუმცა პროკურატურის ხანგრძლივი საეჭვო დუმილი მაინც ბადებს კითხვას: იქნებ სახაროვის გულის გაჩერების მიზეზი — გულის პარკუჭების ვიბრილაციაც — შეიძლება ხელოვნურად გამოიწვიო? — ასე ამთავრებს წერილს ოლეგ მოროზი.

**ევტუშენკო, სტალინი და სიყვარული**

ევგენი ევტუშენკომ სტუდია „მოსფილმში" გადაიღო თავისი მეორე ფილმი „სტალინის დაკრძალვა" („ლიტერატურნაია გაზეტა", 14. XI. 90). მე დიდხანს არ მაძლევდნენ ამ ფილმის გადაღების ნებას, — განაცხადა მან, — მაგრამ როგორც იქნა, მოვახერხე 1953 წლის მარტში სტალინის დაკრძალვის აპოკალიფსური სურათის აღდგენა. იმ დროს, როდესაც ადამიანების გიგანტური ბრბო სტალინის კუბოსთან მიახლოების ცდაში შუქნიშნების ბოძებსა და საბარგო მანქანებს ასკდებოდა, ამ მორევში მოქცეულ ორ მოზარდს ერთმანეთი შეუყვარდა. მათი როლების შემსრულებლები მ. კალინიჩენკო და დ. კონსტანტინოვი კინოში პირველად გადაიღეს. ფილმში ქართველი მსახიობი დ. ჯაიანიც მონაწილეობს, ის ბერიას ნათესავის როლს ასრულებს. თავად ევტუშენკო კი ლოთი მოქანდაკის როლში გამოდის, რომელსაც ასობით სტალინი აქვს გამოქანდაკებული.

**ქალბატონი რენი და მისი არმია**

ფინეთის თავდაცვის მინისტრი ელიზაბეტ რენი, რომელიც ახლახან დანიშნეს ამ პოსტზე, პირველი თავდაცვის მინისტრი ქალია ევროპის ისტორიაში. „არგუმენტი ი ფაკტის" (№ 46. 1990 წ.) კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში, ბევრ სხვა საინტერესო საკითხთან ერთად, ქალბატონმა რენმა ისიც აღნიშნა, რომ ფინეთის არმიაში ახალგაზრდები ძირითადად გაწვევის ადგილებთან ახლოს მსახურობენ. სამოციანი წლებიდან ყველა სამხედრო ქალაქს მოაშორეს ღობეები და ნებისმიერ მსურველს შეუძლია თავისუფლად შევიდეს იქ და ნახოს, როგორ ცხოვრობენ და მსახურობენ ჯარისკაცები. ყოველ მეორე კვირას ჯარისკაცებს შინ უშვებენ, ამასთან უხდიან მგზავრობის ფულსაც, მათთან ნებისმიერ დღეს შეუძლიათ ჩავიდნენ მშობლები, საყვარელი გოგონები ან მეგობრები.

**პავაროტი — სიმღერასა და... სექსზე**

სახელგანთქმულმა იტალიელმა მომღერალმა ლუჩანო პავაროტიმ კითხვაზე, ახდენს თუ არა სექსი გავლენას ხმაზე და აქვს თუ არა ხმას სექსუალურობაო, უპასუხა: „რაც შეეხება ხმის სექსუალურობას, ის, ალბათ, ქალებისათვის უნდა გეკითხათ. საერთოდ კი, მე ვილებ წერილებს, სადაც სუსტი სქესის წარმომადგენლები მწერენ, რომ ჩემი სიმღერის მოსმენისას სექსუალური შეგრძნებები უჩნდებათ. რაც შეეხება სექსის გავლენას ხმაზე, აქ მდგომარეობა კიდევ მეტად კურიოზულია: სპექტაკლამდე ერთი დღით ადრე არ შეიძლება, სპექტაკლის დღეს — არ შეგიძლია, სპექტაკლის შემდეგ — ჯოჯოხეთურად ხარ დაღლილი, მეორე დღეს კი ისევ სპექტაკლია..." („არგუმენტი ი ფაკტი", № 16, 1990 წ.).

# საქართველო და ნობელის პრემია



ქართველ საზოგადოებას ყოველთვის აინტერესებდა ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა კავშირი მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ პრემიებთან — ნობელის პრემიებთან. ცნობილია, რომ ნობელის პრემიის ლაურეატებს შორის მრავალი ქვეყნისა და ყველა კონტინენტის წარმომადგენლებს ვხვდებით. მათ შორის არიან, როგორც მრავალრიცხოვან, ასევე მცირერიცხოვან ერების შვილებიც.

საქართველოში დადიოდა ხმები, რომ თითქოს ნობელის პრემიაზე თავის დროზე წარდგენილი იყო ჩვენი ცნობილი თანამემამულე გრიგოლ რობაქიძე. შემდეგ გავრცელდა ხმა, რომ მშვიდობის პრემიაზე წარდგენილი იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, როგორც ადამიანის უფლებებისათვის გამოჩენილი მებრძოლები, მაგრამ სავალალოდ არც ერთი ეს მოსაზრება არ გამართლდა. ბოლო წლებში გამოირკვა, რომ ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში რეალური შესაძლებლობა ნობელის პრემიის მიღებისა ჰქონდა ცნობილ ქართველ ბიოქიმიკოსსა და პარაზიტოლოგს ბატონ ვასილ ვარაზს.

ვ. ვარაზმა 1938 წელს მიიღო ნობელის კომიტეტის თავმჯდომარის გუნარ ჰოლმბრეგის ოფიციალური წერილი, რომელშიც მას სთხოვდნენ შვედეთში ნობელის კომიტეტისათვის გაეგზავნა საატესტაციო დოკუმენტები ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში ნობელის პრემიაზე წარსადგენად. ეს წერილი ამჟამად ვარაზების ოჯახში, თბილისში ინახება.

გაურკვეველი მიზეზების გამო ვ. ვარაზმა ამ წერილის მიღება არავის გაანდო და თვით წერილი უპასუხოდ დასტოვა. მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ იპოვეს ეს დოკუმენტი მის არქივში. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვ. ვარაზს შიში ჰქონდა იმ შესაძლო რეპრესიისა, რაც იმ წლებში დაკავშირებული იყო უცხოეთთან ყოველგვარ კავშირებთან.

ვასილ ვარაზის სამეცნიერო ინტერესები ეხებოდა ტროპიკულ დაავადებებს, კერძოდ მალარიისა და აზიური ქოლერის საკითხებს. ცნობილია, რომ იმ წლებში ფართოდ იყო გავრცელებული მალარიით დაავადება და საქართველოს რიგ რაიონებში ამ სენმა ბევრი ადამიანი შეიწირა.

ვ. ვარაზის სამეცნიერო შრომები ქვეყნდებოდა როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთაც. მას ეკუთვნის ფუნდამენტური გამოკვლევები ნახშირწყლებისა და აზოტური ცვლის ბიოქიმიის საკითხებზე, მეტაბოლიზმის როლზე ნივთიერებათა ცვლაში, მიკროელემენტების მნიშვნელობაზე ფარისებური ჯირკვლის პათოლოგიაში და სხვა.

ვასილ სოფრომის ძე ვარაზი (ვარაზაშვილი) დაიბადა 1888 წელს 1 იანვარს, ძველი სტილით, თბილისში. ცხოვრობდა პეროვსკაიას, ყოფილ ანასტასიის ქუჩაზე, № 16 სახლში, ვერაზე. იგი 1911 წელს ჩაირიცხა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. პირველი მსოფლიო ომის დროს 1915-1917 წლებში იყო მოქმედ არმიაში სამხედრო ექიმად, რის შემდეგ 1918 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში. 1925 წელს მან მოიპოვა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო 1930 წელს პროფესორის წოდება. 28 წლის განმავლობაში (1924-1952) ვ. ვარაზი ხელმძღვანელობდა საქართველოს პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის ინსტიტუტის პათოლოგიურ ფიზიოლოგიის განყოფილებას, ხოლო 1931 წლიდან გარდაცვალებამდე თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ბიოქიმიის კათედრას. ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ვასილ ვარაზი გარდაიცვალა 1969 წლის 9 სექტემბერს თბილისში. მისი ვაჟიშვილი ავთანდილ (ავთო) ვარაზი (1926-1977) ცნობილი ნიჭიერი ქართველი მხატვარი იყო.

ასეთია მოკლე ცნობები ქართველი მეცნიერების შესახებ, რომელსაც შეეძლო დაეწყო ქართველთა წარმომადგენლობა ნობელის პრემიის ლაურეატებს შორის.

ჩვენი ვარაუდის მიხედვით ვასილ ვარაზს ნობელის პრემია უნდა მიკუთვნებოდა ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში 1939 წელს. 1939 წელს პრემია ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში ნობელის კომიტეტმა მიაკუთვნა ცნობილ გერმანელ პათოლოგსა და მიკრობიოლოგს გერჰარდ დომაგკის „პრონტოზილის ანტიბაქტერიული ეფექტის აღმოჩენისათვის". ეს ფაქტიურად იყო შრომები ბაქტერიული ინფექციის ქიმიოთერაპიის საკითხებზე.

ასე რომ, ვ. ვარაზისა და გ. დომაგკის შრომები მსგავსი იყო და მათ თავისუფლად შეეძლოთ გაეყოთ ეს საპატიო პრემია, ვ. ვარაზს, რომ შიშის გრძნობით უკან არ დაეხია.

თუმცა გერჰარდ დომაგკისაც თავს თავისებური სიძნელე გადახდა, როგორც გერმანიის მოქალაქემ მან 1931 წლის 31 იანვარს ჰიტლერის სპეციალური დეკრეტის თანახმად, რომელიც უკრძალავდა გერმანელებს ნობელის პრემიის მიღებას, უარი განაცხადა პრემიაზე. ასევე მოიქცნენ გერმანელი ქიმიკოსები რიხარდ კუნი (1938 წლის ლაურეატი) და ადოლფ ბუტენანტი (1939 წლის ლაურეატი), რომლებმაც მხოლოდ ომის შემდეგ 1948 წელს მიმართეს ნობელის კომიტეტს თხოვნით პრემიის მიღების თაობაზე. ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილებით, მათ 1949 წლის ივლისში მხოლოდ დიპლომები და ლაურეატის ოქროს მედლები გადაეცათ.

**ლევან ბედევანიშვილი**
**28. 10. 90 წ.**

# ყველაზე მდიდარი კაცი მსოფლიოში



ჰასანალი ბოლკიაჰ მუიცადინ ვალაუდლაჰი (მისი სახელი 39 სიტყვისაგან შედგება) 44 წლისაა, 29 წელია ბრუნეის სულტანია. 3 ცოლი, 3 ვაჟიშვილი, 6 ქალიშვილი და 350 მანქანა ჰყავს. აქვს სასახლე 400 ოთახით, რომელიც 1 მილიარდი დოლარი ღირს. ყოველივე ეს მან საწვავი ზეთის ექსპორტირებით მოიპოვა.

„პოლო" სულტანის ყველაზე საყვარელი გასართობია. ის ძალიან წააგავს ჩვენებურ ცხენბურთს. სულტანს 536 ცხენი ჰყავს და 67 ცხენის ექიმი ინგლისიდან, საფრანგეთიდან და ამერიკიდან. ყოველ 14 დღეში ერთხელ კონტეინერით მოაქვთ ახალთახალი მინერალური წყალი ცხენებისათვის ნორვეგიიდან.

სულტანის პარტნიორია პოლოში უელსის პრინცი ჩარლზი — 41 წლის. ჰასანალი ანგლოფილია. ჰასანალის დინასტია 500 წლისაა. სამეფო დარბაზი მორთულია 22-კარატიანი 300 კილო ოქროთი.

მისი სასახლე ყველაზე დიდი სასახლეა მსოფლიოში. სასახლე მთლიანად ოქროთია მორთული და 204 000 კვადრატული მეტრია. მის მეორე სასახლეში, სადაც მოსამსახურე პერსონალი და სულტანის ოჯახის რამოდენიმე წევრი ცხოვრობს, 1788 ოთახია. აქაა 257 აბაზანა, 44 კიბე, 564 ჭაღი.

ბრუნეის ყოველი 21 წელზე მეტი ასაკის მცხოვრების წლიური შემოსავალი 90 000 დასავლეთ გერმანული მარკაა.

თავის მესამე ცოლს, სულტანმა საქორწილო საჩუქრად მიართვა 12 მილიონი მარკის ღირებულების ლალი. მისმა მეორე ცოლმა საჩუქრად ზოოპარკი მიიღო.

სულტანის თანამდებობებია: მინისტრ-პრეზიდენტი, იმამი. მისი ძმები კი არიან საგარეო საქმეთა მინისტრი და ფინანსთა მინისტრი. ბრუნეი 5765 კმ²-ია, აქ ცხოვრობს 241 000 ადამიანი.

ერთადერთი კითხვა აწუხებს სულტანს: მინდა კი კიდევ რამე ცხოვრებაში?

გფრ. „ქვიქი", 6. IX. 90.
**ნინო დარასელის** თარგმანი.

# ხმას აძლევენ... პატიმრები

**იურიდიული** თვალსაზრისით ამ არჩევნებს, ბუნებრივია, არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. საპატიმროებში ანუ, ამ დაწესებულებათა ოფიციალურ დასახელებას თუ გამოვიყენებთ, შრომა-გასწორების კოლონიებში მოხვედრილი ადამიანები ხომ პირველყოვლისა სწორედ არჩევანის უფლებას ჰკარგავენ, ისინი არც აქ მოსულან საკუთარი სურვილით და არც აქაური ცხოვრების წესი შეესაბამება მათ პირად მისწრაფებებს. ასე რომ, იმ მიკროარჩევნებს, რომლებიც საპატიმროებში მოაწყო ჩვენმა ორგანიზაციამ, სოციოლოგიური გამოკითხვის მნიშვნელობა აქვს და პატიმართა განწყობილების შესწავლას ემსახურება. ეს კი, თავის მხრივ, უფრო სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის საერთო განწყობაზე, რომელიც დღეს ჩვენს რესპუბლიკაშია.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ჩვენი თხოვნით, საარჩევნო ბიულეტენის ერთი, ბუნებრივია, გაუქმებული ნიმუში გადმოგვცა, რომელიც ჩვეულებრივ ქაღალდზე საბეჭდი მანქანით გადაიბეჭდა და გამრავლდა. სათნოების ორდენმა ყურადღება შეაჩერა ორ საპატიმროზე: ავჭალის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორებისა და ქალთა კოლონიებზე. სულ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ხუთასმა პატიმარმა.

აი, რა გვიჩვენეს ამ არჩევნებმა: პატიმართა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (496 ბიულეტენი) შემოხაზა მე-12 საარჩევნო ბლოკი, ანუ უპირატესობა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალ საქართველოს" მისცა. ორმა პატიმარმა არჩევანი შეაჩერა ბლოკზე „თავისუფლება", ხოლო ერთმა ხმა მისცა საქართველოს კომპარტიას.

ხმების დათვლისას გათვალისწინებულ არ იქნა ერთი ბიულეტენი, სადაც ერთდროულად ორი ბლოკი იყო შემოხაზული.

სიზუსტისათვის უნდა ითქვას, რომ ეს აქცია საპატიმროებში მოეწყო ოფიციალური არჩევნების პირველ და მეორე ტურებს შორის შუალედში და რომ პირველი საარჩევნო მარათონის შედეგები პატიმართათვის ცნობილი იყო.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიკროარჩევნების დროს არ ყოფილა დაცული მოთხოვნები, რომლებიც ოფიციალური არჩევნებისათვის აუცილებელია: პატიმართა დიდი ნაწილი ბიულეტენს აწერდა საკუთარ ვინაობას, ზოგიერთი კი ორ გვარს ერთდროულად, — საკუთარსა და გამარჯვებული ბლოკის სპიკერისას. ამით პატიმრებს თითქოს ხაზგასმა სურდათ, რომ ისინი ხმას აძლევდნენ როგორც ეროვნულ თავისუფლებას, ასევე პირადს.

აქცია ქალთა კოლონიაში უცრემლოდ არ დამთავრებულა: მიზეზი ამისა იმდენად ჩვენი უუფლებო დების პირადი საწუხარი კი არ გახლდათ (რის შესასწავლადაც შედის კიდევ სათნოების ორდენი ამ დაწესებულებებში), არამედ იმის განცდა, რომ მათი აზრიც საინტერესოა საზოგადოებრიობისათვის.

მოსაგვარებელი საკითხი პატიმრებს, განსაკუთრებით ქალებს, ძალიან ბევრი აქვთ. ზოგიერთი მათგანის გადაწყვეტაში მონაწილეობას სათნოების ორდენი უკვე შეუდგა. იმ პრობლემების შესახებ კი, სამთავრობო ორგანოთა ჩარევას რომ საჭიროებენ, არაფერს მოგახსენებთ, რამეთუ სათნოების ორდენი აქ ჰელსინკის კავშირის სპეციალურ ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა, მათ კი ამ პრობლემების გადაჭრა ჩვენზე მეტად ხელეწიფებათ.

საპატიმროებში დღეს ისეთი განწყობაა, როგორც შეეფერება ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებს, რომლის შემდეგაც უფლებაჩამორთმეული ადამიანები იმედით ელიან ყოველ ახალ ინფორმაციას უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებიდან. ჩვენი უუფლებო დები და ძმები მოუთმენლად შესცქერიან სივრცეს გისოსებს მიღმა.

ღმერთმა არ გაუმტყუნოთ მოლოდინი!

**სათნოების ორდენი**
**(ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი").**

**რედაქციისაგან:** როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე მიღებულ იქნა კანონი ამნისტიის შესახებ. იმედია, ამნისტირებულთა შორის ჩვენი „ამომრჩევლებიც" იქნებიან (ბოდიშს ვიხდით ბრჭყალებისთვის, მაგრამ ის დღესდღეობით ამ სიტყვის შინაარსის არარეალურობის გამოსახატავად დაგვჭირდა მხოლოდ).

# გონიერი, როგორც გარინჩა



# და ზოგჯერ უფრო მეტიც...



სპორტულ სანახაობათა შორის არტისტიზმითა და შემართებით ფეხბურთს ძნელად თუ შეედრება რაიმე. მას ხელოვნებასთან ბევრი რამ აქვს საერთო. ამიტომაც ერთნაირად უყვარს იგი მხატვარს, მუსიკოსს, მეცნიერს, ინჟინერს, მუშას თუ პოეტს... ფეხბურთი და კერძოდ, **სლავა მეტრეველის** თამაში მეტისმეტად ხიბლავს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, **პროფესორ მურმან ტურავას**.

ბატონმა მურმანმა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სხვადასხვა დროს არაერთი წერილი თუ ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც სლავა მეტრეველის საფეხბურთო ბიოგრაფიის საინტერესო ეპიზოდებია გადმოცემული. თანდათან შეივსო და შეიკრა ფეხბურთის ელვარე ვარსკვლავზე, 1968 წლის მსოფლიოს სიმბოლური ნაკრების წევრზე დაწერილი წიგნი — **„ქარიშხალი" მარჯვნიდან ახლოვდება"**, რომლის ერთ ნაწყვეტსაც ვთავაზობთ მკითხველს.

●

სოჭში დაიბადა. ქართველი კაცისათვის ჩვეული სითბო და დაუდგრომლობა თავიდანვე დაჰყვა.

კარგი არ ავიწყდება, ცუდს არ იმახსოვრებს.

ცუდის ჩადენა გულითაც რომ მოინდომოს, ვერ შესძლებს — სიკეთისათვის არის გაჩენილი.

მცირე ხნითაც რომ გაუწიო თანადგომა, ვერ წარმოუდგენია, შენი განაწყენება თუ შეიძლება.

საოცრად მორიდებულს ხუმრობის ნიჭი აქვს, კარგი ხუმრობის ფასი იცის.

ბევრი კოლეგისაგან განსხვავებით, ჯაზური მუსიკაც უყვარს და კლასიკურსაც სიამოვნებით უსმენს.

ზოგჯერ, შეღამების ჟამს, საბურთალოს სასაფლაოზე შოთა იამანიძის საფლავის წინ თავდახრილი დგას და იმ ბავშვის სახე აქვს, საცაა რომ ატირდება...

ბავშვობა, მრავალი თანატოლის მსგავსად, მძიმე ჰქონდა — ბრძოლის ველზე იყო მამა და თავი რომ ერჩინათ, სად არ აცხოვრა დედამ სლავა — სოჭში, ადლერში, გუდაუთაში...

„ფეხბურთის სიყვარული მოსვენებას არ აძლევდა ბავშვობაში,— იგონებს დედამისი, — ბურთის დანახვაზე ტანში გააძიგძიგებდა ხოლმე, ბურთიანად ეძინა ლოგინში. ვინ მოთვლის, რამდენჯერ ჩაგვისვამს მეზობლის ფანჯრის მინები, სლავას მიერ დარტყმული ბურთით ჩამსხვრეული.

ბევრჯერ მომხდარა — სკოლაში გამიშვია და სლავა, თურმე, ბურთს დასდევს მთელი დღე. დაღლილ-დაქანცულს ზოგჯერ მინდორზევე ჩაეძინებოდა ბურთთან ჩახუტებულს და ამ დროს მიმიკითხავს, შინ რომ წამომეყვანა".

სლავას მამა სოჭის მიდამოებში ცნობილი მზარეული იყო და უნდოდა, შვილიც მის კვალს გაჰყოლოდა, მაგრამ...

ბიძამისს რუსეთში გადასახვეწად არ ემეტებოდა მკვირცხლი, ნიჭიერი ბიჭი. ორჯერ ჩამოიყვანა თბილისში. „დინამოს" მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ორივეჯერ გაისტუმრა უკან — ფიზიკურად ნამეტანი სუსტია და არ გამოგვადგებაო.

მშობლებსაც, ცხადია, უჭირდათ შვილის მოშორება, სხვაგან გაშვება. გორკის „ტორპედოს" გუნდის უფროსმა ნიკოლოზ მამულაიშვილმა ბევრი ეხვეწა სლავას მამას, გამატანეო და როგორც იქნა დაიყოლია კიდეც, — გორკში წაიყვანა სლავა.

იქვე მომხდარა ერთი კურიოზული ამბავი: გორკისა და მოსკოვის ტორპედოელების პაექრობის შემდეგ მოსკოვის „ტორპედოს" უფროს მწვრთნელს, სლავას თამაშით აღტაცებულ კონსტანტინე ბესკოვს, სლავასთვის უთხოვია, ძალიან მინდა სადგურში გამოხვიდე და გამაცილოო. სლავამ, ცხადია, არ იცოდა რა ელოდებოდა და ფეხბურთელების ვაგონს მიაკითხა. მატარებლის გასვლის დრომ როცა მოაწია, ბესკოვმა კუპე გადაკეტა და აღარსად გაუშვა გოგნებული ჭაბუკი.

გზაში ამშვიდებდა: არაფერზე არ იდარდო, გორკელებს მე თვითონ მოველაპარაკები, დავითანხმებ და შენ არავითარ უხერხულობას არ გაგრძნობინებო.

მოსკოვში თანაგუნდელები (მაშინდელი „ტორპედო" უძლიერესი გუნდი იყო; საამისოდ მარტო ედუარდ სტრელცოვისა და ვალენტინ ივანოვის გახსენებაც კმარა) კარგა ხანს იგონებდნენ სლავა მეტრეველის „მუხანათურად" მოტაცების ამბავს და გულიანად იცინოდნენ.

ნახევარი წელიწადი გამთენიიდან საათობით უვარჯიშია სლავას, ზღვა ოფლი უღვრია, ტოლი რომ არ ყოლოდა სისწრაფეში და მსოფლიოში ცნობილ იტალიელ მწვრთნელს ელენიო ერერას ეთქვა: მესხსა და მეტრეველს ოთხნაირი სისწრაფე აქვთო — რბენის, გადაცემის; მანევრირებისა და აზროვნებისო". ასევე ბევრი ღონე დაუხარჯავს სლავას, სამაგალითო რომ გამხდარიყო მაღლა ხტომაში, ბურთით თავაწეულად ტარებაში. თავის საქვეყნოდ გახმაურებულ, თვალით მოუხელთებელ ფინტს კი, ადრე მწვანე მინდორზე [illegible] ოფნა, ხვეწნა და რანდვა [illegible].

„მიწის ყვავილი" არასოდეს განელებულა მის არსებაში და როცა სამშობლოში დაბრუნების შესაფერისი ჟამი დაუდგა, წინ რაღა გადაეღობებოდა. 8 სეზონი იცავდა იგი ქართული ფეხბურთის ღირსებას და ამ წლებში არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა გუნდს. პოეტის ხატოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ორი ფრთა სჭირდება ფრენას" და მართლაც ფლანგებზე მოთამაშე ორი კაშკაშა ვარსკვლავის—მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის ერთდროული ყოფნა მოედანზე, მარად დაუვიწყარი და საამაყო დარჩება ყველასთვის.

ორივე მათგანს სამხრეთ ამერიკასა და ევროპაში გარინჩას ადარებდნენ.

სლავას უთქვამს: „სოჭის „სპარტაკში" თამაშის დროს უკვე მქონდა ჩემი ფინტი, გარინჩა თვალით არ მყავდა ნანახი და დამთხვევა ჩვენი თამაშის მანერისა უბრალო შემთხვევითობაა და სხვა არაფერიო".

ბრაზილიის ფეხბურთის ნაკრების ცნობილ მწვრთნელს ვისენტე ფეოლას უთქვამს: მესხსა და მეტრეველს ჩემს გუნდში შეუძლიათ ითამაშონ.

ტალანტის გარდა სლავა მეტრეველი გამოირჩეოდა იმითაც, რომ, იტალიელი ცნობილი ფორვარდის, სანდრო მაცოლას სიტყვებით რომ ვთქვათ, მას არასდროს არ უთამაშია ნახევარი ძალით, ე. ი. უპატიოსნება არ გამოუჩენია არასოდეს.

ლეგენდარული მიხეილ მესხის გულითადმა მეგობარმა, აწ გარდაცვლილმა სახელგანთქმულმა პროფესორმა ვენორ ქვაჩახიამ ერთხელ თქვა: მიშას მიაჩნია, მოსკოვის „ტორპედოში" თამაშის წლებში სლავა ზოგჯერ გარინჩაზეც ძლიერი იყოო. ასეთი აზრი სხვებსაც გამოუთქვამთ, ჩვენდა საამაყოდ.

სლავა კი ისე იქცეოდა, ვითომც არაფერი.

ქუჩაში გამოსულს თითქმის ყოველი მეათე ესალმება, თვითონაც მიაგებებს ღიმილს, მათგან ნახევარსაც არ იცნობს თურმე.

მისი ფიქრი ეროვნულ ფეხბურთს დასტრიალებს ახლაც: „რა მოხდა მერე, ჩვენს ბიჭებს ღორო-ჩოღრო მოედნებზე თუ უწევთ თამაში, კომფორტიც აკლიათ და ძილიც. ყველაფერს გაუძლებენ. ჩვენი ახალგაზრდობის სიმამაცითა და ძალისძალობით საქართველოს თავისუფლება კარს მოგვდგომია და აი, ნახავთ, როგორ გაშლიან მალე ფრთებს, როგორ ინავარდებენ მსოფლიოს დიდ სტადიონებზე და არავის არ დაუდებენ ტოლს"...

მიდიან წლები, თან მიაქვთ ახალგაზრდობა. მეხსიერება კი ხელუხლებლად ინახავს გარდასულს, განცდილს.

ჩემს თაობას ახლაც თვალწინ უდგას გაუხედნავი კვიცივით დაუდგრომელი შავგვრემანი ბიჭი, მოედანზე ქარიშხალს რომ ატრიალებდა... თითქოს ახლაც ყურებში გვაქვს დაგუბებული გადაჭედილი ტრიბუნების ექო, მუდამ რომ თან ახლდა მის ყოველ მოძრაობას, არნახულ ფინტებს, სასწაულებრივ მოქნილობას. შეუძლებელია დაივიწყო ის სილამაზე, ის სიხარული რასაც სლავა მეტრეველი ერქვა.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

ახალგაზრდა ივერიელი

## მოსკოვი, კრემლი

### 16, 17, 23 ნოემბერი

(დასასრული)

[illegible] ბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმება უკვე მოხსნილი იყო. ეს უკვე ძალზე ცუდის მანიშნებელი იყო. მე მიკროფონთან მივედი და კატეგორიულად მოვითხოვე ძველი ფორმულირების აღდგენა, ამის აუცილებლობა შემდეგნაირად ჩამოვაყალიბე: მოკავშირე [illegible] და დაეკისროს მხოლოდ პრეზიდენტს პასუხი იმაზე, თუ რომელიმე აქციას უარყოფითი შედეგი მოჰყვება. ასეთი გახლდათ ჩემი ეშმაკური დიპლომატიური მიდგომა ამ მუხლის მიღებასთან დაკავშირებით. სხვათა შორის, ამაში მხარი დამიჭირა უზბეკეთის [illegible] გვმართებს განსაკუთრებული სიფრთხილე, სიმშვიდე, რათა არ წამოვეგოთ რაიმე პროვოკაციაზე და არ მივცეთ საბაბი საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს, რომ მიმართოს საგანგებო ზომებს.

ჩაიწერა
ნინო კლარჯეიშვილმა

## განცხადება

[illegible]

2. საზოგადოების დირექტორთა საბჭოს და მისი თავმჯდომარის არჩევა.
3. სარევიზიო კომისიის და არბიტრაჟის არჩევა.

დამფუძნებელ წევრთა დასწრება სავალდებულოა. ყრილობის მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს 307-ე ოთახში.

საინიციატივო ჯგუფი.

## [illegible]

[illegible] ყველაზე გაჭირვებული ჩვენი თანამოქალაქეებისათვის თავიანთი პირადი დანაზოგიდან მოსაკითხს გაიღებენ მთაწმინდის რაიაღმასკომის თანამშრომლები.

ხათნოების ორდენი (ჰუმანიტარული ასოციაცია „ქართარზისი")

# „მხოლოდ სიყვარულზე"

ამ სათაურით გამოსცა „მერანმა" ცნობილი პოეტის გივი ალხაზიშვილის ლექსების კრებული.

„ეს წიგნი ეძღვნება შეყვარებულებს და კიდევ მათ, ვისაც სიყვარულის სწამს დღესაც" — ასეთი მოკლე ანოტაცია აქვს დართული ამ წიგნს, რომელიც ავტორის ხარჯით გამოიცა და იყიდება „მერანის" საფირმო მაღაზიაში.

დღეს, მართალია, ყველა პოლიტიკითაა გატაცებული, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უპირველეს გრძნობას ხარკი არ გადავუხადოთ.

ვფიქრობთ, ამ წიგნს ინტერესითა და სიყვარულით მიიღებს მკითხველი.

გთავაზობთ, რამდენიმე ლექსს გივი ალხაზიშვილის წიგნიდან „მხოლოდ სიყვარულზე".

### ვიცოდე მაინც

დღე მიილია ისე უაზროდ,
ვიცოდე მაინც, რა მიხარია,
ღამის მეუფე ცივი ქარია,
მან ყოველივე სწრაფად მოაზრო.
ვათვალიერებ მინებს დაორთქლილს
და ჩამოღვენთილს ვარსკვლავს
წვეთებად,
სიტყვა რომ გულში
ამოცენდება —
ექოა სიტყვის, შენ რომ ამოთქვი.
დღეს — დალამებულს ხსოვნა
ინახავს,
თვალწინ გარბიან მკრთალი
კადრები,
ვიცოდე მაინც, სად ხარ, ვინა ხარ,
ვიცოდე მაინც, რად მენატრები.
მე შემეშინდა, რადგან ნაღველი
ქსოვდა თვალებში საზარელ
უკუნს,
როცა წამომცდა შენი სახელი;
როგორც სიჩუმეს გუგულის
„გუ-გუ".
თანდათანობით გამოვერკვიე,
მზეზე გაბრწყინდნენ ტოტები
სველი,
მივხვდი: ცხოვრებას — გაბმულ
რექვიემს,
მარტოდენ შენი ხსენება შველის.

### მიუწვდომელი

რაა ოცნება აღსრულებული?!
ის ყვავილია მოწყვეტილი,
თვალწინ რომ ჭკნება,
და თუ ოდესმე რამეს ნატრობს
ისევ იმ ბაღს, სადაც მოწყვიტეს.
თავს ნუ იწონებ,
შენ განა ის ხარ,
ვინც მე მიყვარდი?!
იგი სულ სხვაა,
იგი ახლა შენც გენატრება.
შენი თვალები
ბალახში გამკრთალ წყაროსავით
გამოანათებს,
მიიმალება სადღაც ჭავლივით,
ბედნიერი ვარ,
რომ ოცნება არ ამისრულდა,
ჩემთვის შენ ის ხარ,
ის, რაც შენთვის არის ჩავლილი.

# თეთრ გალერეაში...

თეთრი გალერეა... ვინ იცის, წლების შემდეგ უკვე სახელმოხვეჭილი მხატვარი როგორი გრძნობით გაიხსენებს ამ დარბაზს, სადაც მისი პირველი გამოფენა მოეწყო. მანამდე კი ჯერ დიდი გზაა.. ეგებ, არც ისე დიდი?

ჩვენ უკვე შევაჩვიეთ თვალი თბილისის ქუჩებში გამოკრულ აფიშებს თეთრი გალერეა აწყობს... ამჯერად, ეს მართლაცდა ქათქათა დარბაზი ახალგაზრდა მხატვრის თეა გურგენიძის ნამუშევრების გამოფენას დაეთმო. ყურადღებით თუ დავათვალიერებთ გამოფენაზე წარმოდგენილ ფერწერულ ტილოებს ყოველ მათგანში ვიპოვით ნამდვილი შემოქმედებითი წვის ნაპერწკალს, „ქალის პორტრეტებში" ჩადებულ მხატვრის ფაქიზ ბუნებას.

თეა გურგენიძეს მკაფიოდ გამოვლენილი ინდივიდუალობა აქვს.





რაც მის საოცრად ორიგინალურ ხელწერაში გამოიხატება. გამოფენაზე ძირითადად წარმოდგენილია პორტრეტები, ავტორი უმეტეს შემთხვევაში მიგვანიშნებს, რომ აქცენტი ძირითადად სახეზე გადავიტანოთ, სახეში კარგად იკითხება გმირის სულიერი განწყობა, მისი შინაგანი სიღრმე. (ახალგაზრდა ქალის პორტრეტი). ხშირ შემთხვევაში ფიგურები პირობითად, ძალზე ზოგადადაა გამოსახული. სახეთა ნაკვთები მხოლოდ მინიშნებულია, მაგრამ ამ ლაკონურობის მიუხედავად თითოეულ პერსონაჟი მკაფიოდ არის გადმოცემული თავისი ფსიქოლოგიური და შინაარსობრივი სიღრმით. (ქალის პორტრეტი) ჩემი დაკვირვებით მნახველებზე ძლიერ, განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს „ტრიპტიქები დეკორატიულ მოტივზე" და ფერწერული ტილო „ვედრება".



გამოფენის გახსნის შემდეგ გავესაუბრეთ მხატვარს:

თეა, თუმცა სხვადასხვა დროს ქართველ ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრებთან ერთად თქვენი ნახატებიც გამოფენილა საგამოფენო დარბაზებში, ეს მაინც პირველი პერსონალური გამოფენაა, გილოცავთ.

— გმადლობთ.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ამ ცოტა ხნის წინ უკრაინის დედაქალაქში მოეწყო გამოფენა-გაყიდვა „თბილისი ჩემი სიყვარული და ტკივილი ჩემი", რომელიც თბილისის აპრილის ტრაგედიის წლისთავს მიეძღვნა. მასზე წარმოდგენილი თქვენი ყველა ნახატი გაიყიდა. გულთბილად გამოგეხმაურათ უკრაინის პრესაც, რას გვეტყოდით პირადად ამ გამოფენის შესახებ?

— ალბათ, ბევრს ვერაფერს, გამოფენაზე არ ვყოფილვარ, იქ მხოლოდ ჩემი ნახატები იყო წარმოდგენილი. გამოფენის შესახებ ინფორმაციას უკრაინის პრესის საშუალებით ვიგებდი, რომელსაც ჩემი მეგობრები მაწვდიდნენ. დიახ, ჩემი ოთხივე ნახატი გაიყიდა, მიუხედავად საკმაოდ სოლიდური თანხისა, მაინც ძალიან მწყდება გული, მათი მხოლოდ ფოტოები შემომრჩა. საერთოდ, თუმცა მსიამოვნებს, როდესაც ჩემს ნახატებს ყიდულობენ, ესე იგი მოსწონთ და მაღიარებენ, მაგრამ გული მწყდება გაყიდული ნახატების გამო.

— ესე იგი, ძალიანაც რომ გაგიჭირდეთ ყველაზე საყვარელ ნახატს არ გაყიდით?

— არასოდეს.

— არც გაჩუქებ?

— გაჩუქებით კი. ჩემთვის ძვირფას ადამიანს ვაჩუქებ.

— თქვენი ახლო მომავლის გეგმები?

ამჟამად ჰელსინკსა და ზაგრებში ეწყობა ახალგაზრდა ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, სადაც ჩემი ნახატებიცაა წარდგენილი. იქ კატალოგიც შედგება, რომელშიც ჩემი ნახატებიც შევა. დამეთანხმებით, ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა მხატვრისთვის, ამას აქვს მნიშვნელობა.

— ჩემი აზრით, ქართველ მხატვრებს თამამად შეუძლიათ დაიკავონ თავიანთი ადგილი ევროპულ თუ მსოფლიო მოწინავე პოზიციებზე, ამის საფუძველს იძლევა პირველ რიგში მათი ნიჭიერება, ინდივიდუალიზმი. მიმაჩნია, რომ ბევრი ნიჭიერი მხატვარი უცნობია, არამცთუ ევროპისათვის, პირველ რიგში ჩვენთვის, თქვენ როგორ ფიქრობთ?

— ეს ალბათ, უფრო საშუალო მხატვრებს შეეხებათ. ნამდვილი ნიჭი კი არასოდეს დარჩება ამოუცნობი. ადრე თუ გვიან, ჭეშმარიტი მხატვარი თავის გზას იპოვის, მით უფრო ახლა, როცა აღარავინ იზღუდება და სრული შემოქმედებითი თავისუფლებაა...

თუმცა, სამწუხაროდ, ხანდახან ისეც ხდება ჯერ საქართველოს გარეთ უნდა მოიპოვო დამსახურება, რომ აქ გაღიარონ. ეს არა მარტო მხატვრობას შეეხება, საერთოდ, ყველაფერს ვგულისხმობ. ალბათ, ახლა. ამ მხრივაც გამოსწორდება საქმე.

ხშირად ამბობენ, მხატვარი თავისი სულის, ხასიათის ნაწილსაც დებს ნახატშიო. ამით იქმნება, ალბათ, ის ინდივიდუალობაც, რაც გამოარჩევს თითოეულს. მე თქვენ





საინტერესო და ფაქიზი სულის ადამიანად შეგიცანით. სწორედ ეს თვისებები ახასიათებს, ჩემს თვალში, თქვენს პორტრეტებს, თუმც ავტოპორტრეტები არ არის, მაინც თქვენს თავს ძალიან მაგონებს...

— არ ვიცი, მიჭირს საუბარი ჩემს ნახატებსა და ჩემს თავზე. მნახველმა განსაჯოს.

მნახველს ჰქონდა განსჯის საშუალება. თეა გურგენიძის ნამუშევრები თეთრ გალერეაში 1 დეკემბრამდე იყო წარმოდგენილი.

ჩვენ კი, ჩვენის მხრივ ვიტყვით რომ ახალგაზრდა მხატვარი, რომელიც მომავალში პროფესიულად უფრო და უფრო დაიხვეწება პირველ პერსონალურ გამოფენაზე ბევრ საიმედოს უკვე დაგვპირდა:—ესაა დახვეწილი გემოვნება, შრომისმოყვარეობა და რაც მთავარია თანდაყოლილ ნიჭთან ერთად პროფესიისადმი უდიდესი სიყვარული და ერთგულება.

ეკა ლეჟავა

# ბიჭები ვან ბასტენის სამშობლოდან...

სულ რაღაც ორიოდე თვის წინ საქართველოში ტურნეს ჩასატარებლად იმყოფებოდა ჰოლანდიის კუნძულ ტექსელის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი. მაშინ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ამ ვიზიტის შესახებ ინფორმაციის ოპერატიულად მოწოდება ვერ მოხერხდა, რისთვისაც გიხდით ბოდიშს. ახლა კი, დაგვიანებით, გთავაზობთ საქართველოში ჰოლანდიელ ფეხბურთელთა ტურნეს მოკლე მიმოხილვას.

ტექსელი — ამ სახელის გაგონებაზე, ალბათ, ყველას ახსენდება II მსოფლიო ომი, „ჯვარცმული კუნძული", ქართველ ტყვეთა ბატალიონი, ჰოლანდიელი დედა კორნელია (რომელმაც არაერთი ქართველი გადაარჩინა უეჭველ სიკვდილს), ჰოლანდიელთა და ქართველთა ურთიერთგაგება და ურთიერთგატანა ომის იმ საშინელ დღეებში...

„—ჩვენ ქართველების წინაშე ვალში ვართ. ისინი რომ არა, დღეს შეიძლება ამ ქვეყანაზე არც ვყოფილიყავითო", — საზოგადოება „ტექსელ-საქართველოს კონტაქტის" ხელმძღვანელების, ჰეთი ვან დაიკისა და მარია დე გრააფის მიერ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით წარმოთქმული ეს სიტყვები უფრო მეტს ნიშნავს ყველა ჩვენთაგანისათვის, ვიდრე მთავრობის ათასი ჯილდო და მედალი. და მართლაც, რომ ვალი ვალად არ რჩება, რომ ჰოლანდიელებისა და ქართველების მეგობრობა გრძელდება, ამის დასტური იყო ჯერ კიდევ გაზაფხულზე, ქართული სპორტული დელეგაციის, კერძოდ, საფეხბურთო კლუბ „დილომის" ვიზიტი კუნძულ ტექსელზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურის განყოფილებისა და საქართველოს ახალგაზრდული სპორტული გაერთიანების ინიციატივითა და პირადი მოწვევით, კუნძულ ტექსელის 31-კაციანი დელეგაცია 18 სექტემბერს საპასუხო ვიზიტით ესტუმრა თბილისს. ათდღიანი მოგზაურობა საქართველოში (მცხეთა, ბათუმი, ოზურგეთი, თელავი), გარდა საფეხბურთო მატჩებისა, ითვალისწინებდა კულტურულ და შემეცნებით პროგრამასაც, მაგრამ დღეს ჩვენ მოგზაურობის მხოლოდ სპორტულ მხარეზე შევჩერდებით.

ახლა, როცა საკავშირო პრესის ფურცლებზე ამდენს წერენ ქართული ფეხბურთის თვითიზოლაციაზე, როცა ქართული ფეხბურთი სამართლიანად იბრძვის თავისი კუთვნილი ადგილის დასაკავებლად მსოფლიო საფეხბურთო ასპარეზზე, ყოველ საერთაშორისო მატჩს, ამხანაგური იქნება იგი თუ ოფიციალური, დიდზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მართალია, ჩვენი ჰოლანდიელი სტუმრების გუნდი ძირითადად პირველი ლიგის მონაწილე, მოყვარული ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ ვინც მათ მიერ ჩატარებული თამაშები იხილა, მიუხედავად საბოლოო ანგარიშისა, ყველა დაგვერწმუნება, რომ ჰოლანდიური ფეხბურთი მაინც ჰოლანდიური ფეხბურთია.

სტუმრებმა საქართველოში სამი ამხანაგური მატჩი გამართეს. ჯერ ოზურგეთის ცენტრალურ სტადიონზე შეხვდნენ ადგილობრივ „მერცხალს" და დამარცხდნენ — 2:4. სტუმართაგან ბურთები გაიტანეს რიუერთ პოლმა და ჰანს ფლამინგმა, შემდეგი მატჩი სტუმრებმა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერთან — ბათუმის „ბათუმთან" გამართეს და კვლავ დამარცხდნენ — 0:8. შედარებით წარმატებით იასპარეზეს ტექსელის ფეხბურთელებმა ნაფარეულში, სადაც ადგილობრივი გუნდისა და თბილისის „დილომის" ნაკრებს შეხვდნენ. ეს საინტერესო შეხვედრა ფრედ — 1:1 დასრულდა.

სტუმართაგან ბურთი გაიტანა როლფ კონინგმა. ამ დღეს მთელი მატჩი შესანიშნავად ჩატაარა ჰოლანდიელთა მეკარემ ლამბერტ ჰეერშაფმა, რომელმაც მაყურებელთა და სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

„— ამ მატჩებში არ ყოფილან გამარჯვებულები და დამარცხებულები. ჩვენ ძალიან ძლიერ გუნდებთან მოგვიხდა შეხვედრები, მაგრამ, მიგვაჩნია, რომ საბოლოოდ მაინც მეგობრობამ გაიმარჯვა. ჩვენ ძალიან კმაყოფილები და ბედნიერები ვბრუნდებით სამშობლოში. საქართველოში გატარებული დღეები დაუვიწყარია ჩვენთვის და ეს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი მასპინძლების დამსახურებაა", — ბრძანა დელეგაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ტექსელის საფეხბურთო კლუბ „სვ ტექსელის" პრეზიდენტმა აად ბლომმა, და ეს მარტო მისი პირადი აზრი კი არ იყო, არამედ მთელი დელეგაციისა.

დაბოლოს, მართალია, ჰოლანდიის კუნძულ ტექსელის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდში არ თამაშობდნენ ვან ბასტენი, გულიტი და რიიკაარდი, მაგრამ ვინ იცის, იქნებ რომელიმე მათგანმა ჰოლანდიის ეროვნული ნაკრების ნარინჯისფერი მაისურიც კი ჩაიცვას მომავალში და თანაც, მე მგონი, ისტორიისათვის მაინც საჭირო იქნება იმ ფეხბურთელთა გვარების შემონახვა, რომლებმაც ერთ-ერთმა პირველებმა გამოსცადეს თავის თავზე დამოუკიდებლობის გზაზე მდგომი ქართული ფეხბურთის ძალა. აი, ეს ფეხბურთელებიც: ბერტ ჰეერშაფი, ინგმარ მოერბეეკი, კლაას დირკ კოორნი, კილიამ ვან ვიინი, სიმონ ბრანდი, რიეუერთ პოლი, რალფ კონინგი, რუუდ ბეერლინგი, ჯონ ლისტი, გერიტ ფლამინგი, პიტერ მონსტრი, ჰანს ფლამინგი და ჰენკ იან კლოკი. მთავარი მწვრთნელი გახლდათ აად ვაარსი, მწვრთნელები რობინ ვან ლერ კოოი და ვიმ კოორნი.

რამდენიმე ხნის წინ ჰოლანდიიდან მოვიდა მოწვევა, რომელშიც ჩვენი მეგობრები გვატყობინებენ, რომ დეკემბრის თვეში კუნძულ ტექსელზე ტარდება „საქართველოს დღე" და ამ ზეიმზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან და ახალგაზრდული სპორტული გაერთიანებიდან მიწვეულია ოთხკაციანი დელეგაცია.

ნათია ნანავა

**სურათზე:** საფეხბურთო კლუბი „სვ ტექსელი".





# მერაბ მამარდაშვილი

ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ერთი ღირსეული მებრძოლი გამოაკლდა — მოულოდნელად გარდაიცვალა საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მერაბ მამარდაშვილი.

მერაბ მამარდაშვილი პროფესიითაც და მთელი თავისი არსებითაც ფილოსოფოსი იყო ამ სიტყვის უძირითადესი და უმაღლესი მნიშვნელობით — ჭეშმარიტებისა და თავისუფლების მოყვარული და ამ უმაღლეს ღირებულებათათვის თავდადებული მებრძოლი.

ფილოსოფოსობა არასდროს ყოფილა იოლი საქმე. განსაკუთრებით ძნელია იგი ტოტალიტარულ, პოლიტიკური და იდეოლოგიური მარწუხებით შებოჭილ საზოგადოებაში. მერაბ მამარდაშვილმა თავისი შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „შინაგან ემიგრაციაში" და თანაც სამშობლოს — საქართველოს მოწყვეტილმა გაატარა და მაინც შეძლო არა მარტო შეენარჩუნებინა, არამედ განემტკიცებინა კიდეც თავისი შინაგანი თავისუფლება და თანშობილი ქართული სულიერი არისტოკრატიზმი. მერაბის ამ სულიერმა თვისებებმა მის უფართოეს და ულრმეს ერუდიციასთან და უბადლო პედაგოგიურ ტალანტთან ერთად განაპირობა მისი არაჩვეულებრივი პოპულარობა ჭეშმარიტებისა და თავისუფლების მაძიებელ ახალგაზრდობაში; ამავე თვისებების გამო სძულდათ იგი კომუნისტური იმპერიის მესვეურებს და ყოველნაირად ავიწროებდნენ კიდეც. მერაბ მამარდაშვილის მეტი წილი ნაშრომები ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია, წლების მანძილზე საზღვარგარეთ წასვლა აკრძალული ჰქონდა, ათასში ერთხელ თუ უხერხდებოდნენ მისი თავდადებული თაყვანისმცემლები ლექციების ციკლთა ორგანიზებას, რომლებიც ყოველთვის მსმენელებით გაჭედილ აუდიტორიებში მიმდინარეობდა.

1980 წლიდან მერაბ მამარდაშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში მუშაობდა. აქ შედარებით უკეთეს პირობებში აღმოჩნდა, მეცნიერული და პედაგოგიური მუშაობის უფრო ფართო ასპარეზი გაეხსნა და სულ მალე მერაბი თბილისის კულტურული ცხოვრების ცენტრში მოექცა.

აქტიურად ჩაება მერაბი საქართველოში გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. იგი ყოველმხრივ ცდილობდა მთლიანად მოეხმარებინა ამ მოძრაობისათვის თავისი ცხოვრებისეული გამოცდილება, პროფესიული ცოდნა, იღვწოდა ეროვნულ მოძრაობაში თავისუფლებისმოყვარული და დემოკრატიული იდეალების დამკვიდრებისათვის.

ბოლო დროს მერაბ მამარდაშვილს გზა გაეხსნა საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად. მას ხშირად იწვევდნენ მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში კონფერენციებზე, სემინარებზე, ლექციების საკითხავად. იგი ყველგან ღირსეულად წარმოადგენდა ქართული ფილოსოფიური და საზოგადოებრივი აზროვნების მაღალ დონეს, ფაქტობრივად ასრულებდა საქართველოს ინტელექტუალური კულტურის სრულუფლებიანი წარმომადგენლის როლს ევროპასა და ამერიკაში.

ქართველმა ხალხმა ღირსეულად დაუფასა მერაბ მამარდაშვილს მეცნიერული, საზოგადოებრივი და ეროვნული მოღვაწეობა და იგი ეროვნული კონგრესის წევრად აირჩია.

ეროვნულ კონგრესში შემავალი ორგანიზაციები მთელ ქართველ ხალხთან ერთად ქედს იხრიან მერაბ მამარდაშვილის ხსოვნის წინაშე.

**ალ. ჯავახიშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ნ. მჭედლიძე, ნ. გელაშვილი, გ. ქორქოლიანი, ი. წერეთელი, ზ. ჭანტურია, ი. ბათიაშვილი, ჯ. კოპალიანი, გ. სიხარულიძე.**

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი

**მერაბ მამარდაშვილი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მწვანეები გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას შესანიშნავი ქართველი მოაზროვნის და ფილოსოფოსის

**მერაბ მამარდაშვილის**

გარდაცვალების გამო.

ახალგაზრდა ივერიელი
Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Ивериели».

ტელეფონები: მხატვრები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-90-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ხაზებით კორპუსში, ხუთშაბათს № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 68400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096. მ. კოსტავას ქ. № 14.